# გილოცავთ მარიამობას!

ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დაკავებულია 14 პირი! თბილისსა და რეგიონებში ამოღებულია უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი

გვ.3



ორშაბათი, 28 აგვისტო, 2023 №168 (9204) ფასი: 80 თეთრი

# შიომღვიმის მონასტერთან კლდე ჩამოიშალა

## „წვიმა რომ ყოფილიყო, ღვარცოფად გადაიქცეოდა"

გვ.2







## „თუ „ოცნება" რამე სისულელეს არ ჩაიდენს, არა მგონია, ცხელი შემოდგომა იყოს"

გვ.2



თორნიკე შარაშენიძე: „მარტო ნაცმოძრაობა „ოცნებას" ვერ დაამარცხებს"



გვ.3

ლაშა ჩხარტიშვილი: „არ შეიძლება ყველაფერს ასე შევეგუოთ. ეს ჩვენი ჯანმრთელობის ხარჯზე ხდება"

## „შუშის სიმახინჯეების სანახავად თბილისში არავინ ჩამოვა"

## „ორი მდინარის შეერთების ადგილზე ორი 52-სართულიანი კორპუსი უნდა ჩაიდგას"

გვ.4



თბილისის საკრებულოს უმრავლესობამ ცათამბჯენების სადავო პროექტებს მხარი დაუჭირა

3 დაკავებულია 30 წლამდე მამაკაცი, რომელმაც ცოლს სცემა

6 აშშ-მ შესაძლოა, რამზან კადიროვის დედას სანქციები დაუწესოს

2 ლევან ხაბეიშვილი: „ბიძინა ივანიშვილი ცდილობს, ევროკავშირსა და საქართველოს შორის კარებში გაეჩხიროს"

6 ტრამპის კარიერა დასრულდა?!

# „თუ „ოცნება“ რამე სისულელეს არ ჩაიდენს, არა მგონია, ცხელი შემოდგომა იყოს“

ნონა ცაბაძე



## თორნიკე შარაშენიძე: „მარტო ნაცმოძრაობა „ოცნებას“ ვერ დაამარცხებს“

„ახალი თაობის“ კითხვებს ანალიტიკოსი თორნიკე შარაშენიძე პასუხობს.

***– ბატონო თორნიკე, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებს? ოპოზიციის მხრიდან სერიოზული კრიტიკა ისმის. რა ხდება, რა უნდა მედვედევს? რატომ გადაწყვიტა, რომ ჩვენი ხელისუფლება პრაგმატულია და ურთიერთობებიც კარგად ლაგდება?***

– პოლიტიკა ფასდება შედეგებით და არა იმით, ვინ გაქებს და ვინ გლანძლავს. სამიოთხი წლის შემდეგ შევხედოთ, საქართველომ რა ქნა ამ სიტუაციაში, როგორ მოიქცა. ქართველი პოლიტიკოსების უმრავლესობას ახასიათებს ეს გამოხტომები, ვაიმე, ჩვენზე ვინ რა თქვა გარეთ, მით უმეტეს, რუსმა, გვაქო თუ გვლანძლა. გავეშვათ ვინ რას ლაპარაკობს, შევხედოთ იმას, ქვეყანა როგორ ვითარდება. ესაა მთავარი. ჩვენ ხომ უკეთ ვიცით, ქვეყანაში რა ხდება მედვედევის გარეშეც?! გარედან ვილაც რუსი რალაცას იტყვის და არიქა, მერე სულ ვაი-უშველებელია. ეს არასერიოზული დამოკიდებულებაა.

***– ბოლო პერიოდში მედვედევის განცხადებები ცოტა ზედმეტად პროვოკაციული ხომ არ არის?***

– ეს კაცი რას წერს ყოველდღე თავის ტელეგრამ არხზე, თქვენ რომ უყუროთ, ჩათვლით, რომ არ არის ადეკვატური. ამიტომ მისი განცხადებები არ არის სერიოზულად განსახილველი. ჩვენი ქვეყანა როგორ ვითარდება და როგორ მიდის, ჩვენზე უკეთესად არავინ იცის, შიგნიდან ვუყურებთ პროცესებს. მედვედევი რას იტყვის, ამას რა მნიშვნელობა აქვს?!

***– აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მიერთების შესახებ გაკეთებულ განცხადებაზე რას იტყვით?***

– არ მოხდება ეს, მე დარწმუნებული ვარ. ამ ეტაპზე ეს რუსეთს არანაირად არ სჭირდება. მედვედევმა თუ რამით „გამოიჩინა“ თავი, ეს იყო 2008 წლის ომი და შემთხვევას არ უშვებს ხელიდან, ყველას რომ არ შეახსენოს თავისი ნამოღვაწარი. არ დგას დღის წესრიგში ეს შეერთება. მით უმეტეს, აფხაზეთში არცერთი პოლიტიკური ძალა არ არსებობს, რომელიც მხარს რუსეთის ფედერაციაში შესვლას უჭერს. ცოტა პარადოქსული კი არის, მაგრამ ამ ეტაპზე, ჩვენთვის, აფხაზი ნაციონალისტები არიან სიტუაციური მოკავშირეები, რუსეთთან შეერთებას უშლიან ხელს. ამით გვიტოვებენ ჩვენ შანსს, მათთან ლაპარაკისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის. ეს არ მოხდება. უბრალოდ, ეს არის მედვედევის მცდელობა, რომ თავი შეახსენოს სამყაროს, თავის „დამსახურებებით“.

***– ბოლო პერიოდია ვისმენთ შეფასებებს, რომ საკმაოდ მაღალია შანსი, კანდიდატის სტატუსი მივიღოთ და მოსკოვის გააქტიურებაც ამას უკავშირდება. რამდენად შეიძლება ამ ჭრილში განვიხილოთ ყველა ეს განცხადება?***

– მე არც იმაში ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენი კანდიდატის სტატუსი რუსეთს ძალიან აშინებს. უკრაინას რომ აქვს კანდიდატის სტატუსი, ამით რა შეიცვალა?! შესაბამისად, ეს არ არის მათთვის განსაკუთრებული. შეიძლება მაინცდამაინც არ ესიამოვნოთ, მაგრამ რომ ვთქვათ, მათთვის დიდი ტრაგედიაა, არა. რეალობას უნდა შევხედოთ და რეალობა შემდეგია – ამ ეტაპზე, კანდიდატის სტატუსი უფრო არის სიმბოლურ-პოლიტიკური მნიშვნელობის და რეალურად სხვა დატვირთვა არ აქვს. ცხადია, კარგია, მაგრამ არა გადამწყვეტი.

***– რა შანსი გვაქვს კანდიდატის სტატუსის?***

– მე ვფიქრობ, მივიღებთ. ეს არის პირველი ნაბიჯი. ამის შემდეგ, ძალიან დიდი სამუშაოა გასაწევი. თქვენ წარმოიდგინეთ, რამდენი უნდა იწვალოს უკრაინამ, რომელსაც უკვე სტატუსი აქვს, რამდენი რაღაც უნდა გაიაროს, რომ შევიდეს ევროკავშირში. ამ ფონზე უკრაინისთვის სტატუსი ჯერჯერობით ხომ არაფერია?!

***– ბატონო თორნიკე, რას იტყვით შიდა პოლიტიკურ პროცესებზე? არჩევნები ერთ-ერთ მთავარ საკითხად იქცა. მთავარმა ოპოზიციურმა პარტიამ, რომ იტყვიან, საარჩევნო კამპანია უკვე დაიწყო. თუმცა, ვხედავთ, რომ ორ ბანაკად ჩამოყალიბდნენ, ერთი მხრივ, ხაბეიშვილი და აქეთ სოფო ჯაფარიძე, რომელიც სააკაშვილის პირადი წარმომადგენელია. არადა, სოფო ჯაფარიძე ნიკა მელიას თანაგუნდელია. როგორ უნდა გავიგოთ ეს ყველაფერი?***

– არ გამოვრიცხავ, რომ სააკაშვილს იმისთვის სჭირდებოდეს სოფო ჯაფარიძე, რომ ხაბეიშვილი დააბალანსოს. საბოლოო ჯამში, ჩვენ ხომ ვიცით, რომ მარტო ნაცმოძრაობა „ოცნებას“ ვერ დაამარცხებს. ეს ხომ კარგად ვიცით ჩვენ. ერთი ერთზე ყოველთვის მარცხდება ნაცმოძრაობა „ოცნებასთან“. რამდენიც არ უნდა მოიაროს სოფო ჯაფარიძემ ქალაქ-ქალაქ, სოფელ-სოფელ, კარდაკარ ყველაფერი, ეს რას შეცვლის? არ მგონია, ამით ნაცმოძრაობის მხარდამჭერთა რიცხვი გაიზარდოს. მით უმეტეს, არ მგონია შემცირდნენ „ოცნების“ მხარდამჭერები. ყველაფერი ამით მორჩება. თუ ეს ემსახურება იმას, რომ მიშა სააკაშვილი არ დაავიწყდეს არავის, ეს სხვა ამბავია.

***– ბევრი ცხელი თემა იყო ამ ზაფხულს, რაც მაინცდამაინც ვერ გამოიყენა ოპოზიციამ. დიდი ამბავი იყო ამ მშენებლობებთან დაკავშირებით, თუმცა, ასე თუ ისე საკრებულოს სხდომამ მაინც მშვიდ ვითარებაში ჩაიარა და თბილისის მერიამ ყველა პროექტი გაიტანა. საკუთარ ბიზნესინტერესებზე ზრუნავენ?***

– მე არ ვარ ამ დარგის სპეციალისტი და არც ის ვიცი, კონკრეტულად რა პროექტებზეა საუბარი. რადგან ამ ყველაფერმა ჩემამდე არ მოაღწია, მეც ვერ გავერკვიე ამ ყველაფერში, მართალი ხართ, ოპოზიციას არ აუტეხია დიდი ამბავი. ჩემს ყურამდე სახიფათო პროექტებთან დაკავშირებით ინფორმაცია არ მოსულა. კიდევ ერთხელ განვმეორდები, რომ ოპოზიცია არცერთ საკითხთან მიმართებაში არ არის თანმიმდევრული.

***– ცხელ შემოდგომას რამდენად უნდა ველოდოთ პოლიტიკური თვალსაზრისით?***

– არანაირად. თუ „ოცნება“ რამე სისულელეს არ ჩაიდენს, არა მგონია, ცხელი შემოდგომა იყოს. მიზეზი ხომ სჭირდება ცხელს? ქუჩაში ხალხის გამოსვლას სერიოზული მიზეზი სჭირდება.

***– შოვის თემაც მინელდება მანამდე?***

– მინელებული არ არის უკვე? აბა, რა არის?!

***– 2024-ში რას ველოდებით, ისევ „ოცნების“ გამარჯვებას?***

– ამ განლაგებით ხომ ასე ჩანს აშკარად. პირადად მე, 5%-იანი ბარიერი დიდ პრობლემად მიმაჩნია. ვის აქვს შანსი გადალახოს 5%-იანი ბარიერი? „ლელომ“ შეიძლება გადალახოს, თუ შემოიკრებს პატარ-პატარა პარტიებს. მათ ფული აქვთ და ფული მნიშვნელოვანია პოლიტიკაში. ჯერჯერობით, სხვა გამსვლელ ძალას ვერ ვხედავ. გაერთიანება კი ასე მარტივი არ იქნება.

***– საინტერესოა ამ ფონზე როგორი იქნება დასავლეთის პოზიცია? დაუჭერს „ოცნების“ ხელისუფლებაში დარჩენას მხარს?***

– არჩევნები იდეალურად რომ არ ჩატარდება, ეს ყველამ ვიცით. თუ ჩატარდა ასე თუ ისე ნორმალურად და სერიოზული დარღვევების გარეშე და მოიგო „ოცნებამ“, რა უნდა თქვან? იტყვიან, არ ვცნობთ ქართველი ხალხის არჩევანსო?!

***– პრემიერის ვიზიტი იწყება ამერიკის შეერთებულ შტატებში. რა გზავნილებს ელოდებით?***

– იქ დასალაგებელია ძალიან ბევრი რაღაც. თუ ამერიკას შეკითხვები გაუჩნდა, ამ შეკითხვებზე პასუხი უნდა გასცენ. შეკითხვები თუ გაჩნდა ჩინეთთან სტრატეგიულ პარტნიორობაზე, ამ ყველაფერზე პასუხი უნდა გაიცეს, ცხადია. მადლობა ღმერთს, რაღაცები დალაგდა. იყო ისტერიკა, რომ საქართველო ეხმარება რუსეთს სანქციების გვერდის ავლაში. გაირკვა, რომ ასე არ არის. ეს იყო ვიღაცის დაკვეთილი და ამ ისტერიამ გაიარა. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ვიზიტია. ნათელი მოეფინება საქართველოს კურსს და ასე შემდეგ. ნამდვილად საინტერესოა, რა განცხადებები და მესიჯები გაკეთდება ამერიკიდან. თუნდაც, საჯარო განცხადებებიდან ჩვენ ბევრს გავიგებთ.

# ლევან ხაბეიშვილი: „ბიძინა ივანიშვილი ცდილობს, ევროკავშირსა და საქართველოს შორის კარებში გაეჩხიროს“



– რუსული პარტია ომს აბრალებს ამერიკას, დასავლეთს, ევროპას. ხალხი კარგად არჩევს – მშვიდობა, უსაფრთხოება არის ევროკავშირში და შესაბამისად, ბიძინა ივანიშვილი ცდილობს, კარებში გაეჩხიროს ევროკავშირსა და საქართველოს შორის, – ამის შესახებ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარემ, ლევან ხაბეიშვილმა განაცხადა, რითაც აშშ-ის ელჩის კელი დეგნანის განცხადებას გამოეხმაურა, სადაც მან თქვა, რომ „მიმდინარეობს საქართველოს ევროკავშირისკენ მიმავალი გზისთვის ძირის გამოთხრის კამპანია“.

მისი თქმით, „რუსული პარტია ახორციელებს საბოტაჟს ჩვენი ქვეყნის ევროპული მომავლისა და ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის“.

– ისინი აკეთებენ ყველაფერს, ვგულისხმობ ბიძინა ივანიშვილს, კობახიძეს, ღარიბაშვილს, რომ ჩვენ არ მივიღოთ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი. ისინი ომს აბრალებენ ამერიკას, ისინი ომს აბრალებენ დასავლეთს, ევროპას. ხალხი კარგად არჩევს – მშვიდობა, უსაფრთხოება არის ევროკავშირში და შესაბამისად, ბიძინა ივანიშვილი ცდილობს, კარებში გაეჩხიროს ევროკავშირსა და საქართველოს შორის. ეს არ უნდა მოახერხოს ივანიშვილმა და თუ დაგვჭირდა, პოლიტიკური ფეხებიც უნდა მივამტვრიოთ იმ კარებში ბიძინა ივანიშვილსა და მის რუსულ პარტიას, – განაცხადა ხაბეიშვილმა.

# ზელენსკი: „სექტემბერში კიდევ უფრო მეტი ერთიანობა იქნება“



– უკრაინისთვის მძლავრი სექტემბრის მომზადება უკვე დავიწყეთ. პირველ რიგში, ჩვენი თავდაცვა. ახალი თავდაცვითი პაკეტები უკრაინელი ჯარისკაცებისთვის, არტილერია, ჯავშანტექნიკა, საჰაერო თავდაცვა და რაკეტები, განაღმვისთვის საჭირო აღჭურვილობა. ჩვენი საჭიროებების შესახებ თითოეული პარტნიორი ინფორმირებულია, ველოდებით გადაწყვეტილებებს... ერთიანი მსოფლიო აგრესორზე ძლიერია... სექტემბერში კიდევ უფრო მეტი ერთიანობა იქნება, – განაცხადა ზელენსკიმ. მისივე თქმით, უკრაინა, უსაფრთხოების გარანტიებთან დაკავშირებით, სხვა ქვეყნებთან ორმხრივი მოლაპარაკებების მორიგი რაუნდის დაწყებასაც გეგმავს.

# შიომღვიმის მონასტერთან კლდე ჩამოიშალა

## „წვიმა რომ ყოფილიყო, ღვარცოფად გადაიქცეოდა“



შიომღვიმის მონასტერთან კლდის ნაწილი ჩამოიშალა. შესაბამისი კადრები სოციალურ ქსელში ვრცელდება. როგორც თვითმხილველები აცხადებენ, ქვათა ცვენა მოულოდნელად ხმაურით დაიწყო. კლდის ჩამოშლა 20 დღის წინაც მომხდარა, მაგრამ გაცილებით მცირე მასშტაბით.

– ეს არის კლდეზვავითი პროცესი, გამოფიტული მასალის ჩამოქცევა, დანარჩენი დასაზუსტებელია. წვიმა რომ ყოფილიყო, ღვარცოფად გადაიქცეოდა, – ამის შესახებ გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგმა, შოთა ლობჟანიძემ ჟურნალისტებთან შიომღვიმის მონასტერთან კლდის ნაწილის ჩამოშლასთან დაკავშირებით განაცხადა.

მისივე თქმით, მუდმივად არის საჭირო დაკვირვება.

– საქმე გვაქვს გამოფიტული მასალის ჩამოქცევასთან. ძალიან დიდი ენერგეტიკული პოტენციალი აქვს ამ ფერდს. სხვა მხრივ საშიშროება არ არსებობს, ანალიზის სფეროს განეკუთვნება. ეს არის კლდეზვავითი პროცესი, გამოფიტული მასალის ჩამოქცევა, დანარჩენი დასაზუსტებელია. წვიმა რომ ყოფილიყო, ღვარცოფად გადაიქცეოდა. მუდმივად არის საჭირო დაკვირვება. ალბათ, დასკვნა რამდენიმე დღეში იქნება, – აღნიშნა შოთა ლობჟანიძემ.

– ინციდენტი შიომღვიმის მონასტრისგან მოშორებით მოხდა. შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა, – ამის შესახებ საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა, დეკანოზმა ანდრია ჯაღმაიძემ განაცხადა.

მისივე თქმით, ის ესაუბრა მონასტრის წინამძღვარს, რომელმაც აღნიშნა, რომ ყოველ წელს ხდება მცირე ზომის ჩამოშლა, ვინაიდან კლდე გამოფიტულია.

– ინციდენტი შიომღვიმის მონასტრისგან მოშორებით მოხდა. მონასტრის წინამძღვარმა როგორც მითხრა, ყოველ წელს ხდება მცირე ზომის ჩამოშლა, კლდე არის გამოფიტული, წელს იყო ცოტა დიდი ზომის. შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა, – აღნიშნავს ჯაღმაიძე.

ISSN 1987-9385

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ-ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „შუშის სიმახინჯეების სანახავად თბილისში არავინ ჩამოვა"

## ლაშა ჩხარტიშვილი: „არ შეიძლება ყველაფერს ასე შევეგუოთ. ეს ჩვენი ჯანმრთელობის ხარჯზე ხდება"

ნათია ხურცილავა

**„ლეიბორისტული პარტიის" ერთ-ერთი ლიდერი, უფლებადამცველი ლაშა ჩხარტიშვილი „ახალ თაობასთან" ინტერვიუში გმირთა მოედნის ტერიტორიაზე დაგეგმილ მშენებლობაზე საუბრობს.**

*– ლაშა, თბილისის საკრებულოში განვითარებული მოვლენების შემდეგ, საკრებულოს წევრმა შალვა ოგბაიძემ განაცხადა, რომ თბილისის განვითარება არ შეჩერდება.*

– შალვა ოგბაიძისგან, რომელიც ერთ დროს მწვანეთა მოძრაობასთან იყო ასოცირებული, ორმაგად უხერხულია ასეთი განცხადება. წესით და რიგით, მას უნდა ესმოდეს, რომ ეს არ არის ქალაქის განვითარება, რომ ეს არის კონკრეტული ადამიანების გამდიდრება და მეტი არაფერი. ცათამბჯენები – არ არის ქალაქის განვითარება. ეს არის კონკრეტული ბიზნეს-ინტერესები.

თბილისის მერი და საკრებულო დედაქალაქის ჩაბეტონებას უწყობენ ხელს. ყველაფერს აკეთებენ ამისთვის. თბილისის ჩაბეტონება ადამიანების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხარჯზე ხდება. ეს სისხლის სამართლის დანაშაულია, რაზეც ერთ მშვენიერ დღეს, ყველა დამნაშავეს პასუხი მოეთხოვება. ის, რაც, საკრებულოს ბოლო სხდომაზე ხდებოდა „ქართული ოცნების" მხრიდან, ღია ბრძოლა იყო ათასხუთასწლოვანი ისტორიის მქონე ქალაქის წინააღმდეგ. არ შეიძლება ასე მოექცე საკუთარ ქალაქს მხოლოდ იმიტომ, რომ რამდენიმე ბიზნესმენის ინტერესი დააკმაყოფილო. ეს დანაშაულია დედაქალაქის, მომავალი თაობების წინაშე. წარმოუდგენელია, ასე გძულდეს საკუთარი ქალაქი.

*– კონკრეტული პროექტი, რომელზეც არის საუბარი, გმირთა მოედნის ტერიტორიაზე, აბრეშუმის ქარხნის ყოფილი შენობის ადგილზე უნდა განხორციელდეს. რა შეგიძლიათ გვითხრათ ამ პროექტზე?*

– რა უნდა გითხრათ, გარდა იმისა, რომ პირველ რიგში, იმ ტერიტორიაზე, რომელიც არის ქალაქის სატრანსპორტო არტერია, რომელიც ერთმანეთს აკავშირებს მარჯვენა და მარცხენა სანაპიროს, არ შეიძლება ამ პროექტის განხორციელება. არ შეიძლება, რადგან იქ ორი ცათამბჯენის აშენება სატრანსპორტო კოლაფს გამოიწვევს. როგორც შევჯერდნენ. საუბარია 60-სართულიან და 45-სართულიან შენობებზე.



მეორე, ეს არის ვერეს ხეობა. არც ისე დიდი ხნის წინ, რა უბედურებაც დატრიალდა იქ, ყველას კარგად ახსოვს. ამ ყველაფრის მერე, ასე რისკების გაზრდა და ამ პასუხისმგებლობის აღება, მე, პირადად, წარმოუდგენელი მგონია.

მესამე, ბოლოსდაბოლოს ის შენობა, რომელზეც თქვენ საუბრობთ, აბრეშუმის ქარხანა ისტორიული არის. როგორც მახსოვს, სტატუსიც კი აქვს. ერთი ხელის მოსმით ამ ყველაფრის წაშლა, ჩემთვის სრულიად მიუღებელია.

ბოლოსდაბოლოს ვინ უნდა იყიდოს იქ საცხოვრებელი სახლები?! ქართველები ან უცხოეთში ემიგრაციაში არიან გადახვეწილები ან უმუშევრები არიან და თავი ძლივს გააქვთ. როგორც ჩანს, როგორც ბათუმში, თბილისშიც რუსები უნდა დასახლდნენ. ასე მივიღებთ რუსულ საცხოვრებლებს, მერე უბნებს, მერე კვარტლებს. ეს არ არის ეკონომიკის განვითარება.

*– არადა, მათი არგუმენტი სწორედ ეს არის, რომ ეკონომიკა უნდა განვითარდეს?*

– არა, ეს ეკონომიკის განვითარება კი არა, დედაქალაქის წინააღმდეგ დაგეგმილი დანაშაულია. ქალაქს არ გააჩნია განვითარების გენერალური გეგმა, რომელიც იქნებოდა სახელმძღვანელო. ასე ბარბაროსულად ექცეოდა ამ ქალაქს ყველა ხელისუფლება. ამიტომაც იუნესკოს ნუსხაში მოხვედრის შანსიც დაკარგა თბილისმა. ტურისტებს თბილისში მისი ისტორია, მისი უნიკალურობა მოიზიდავს, რომელიც უნდა შევინარჩუნოთ და არა ცათამბჯენები, შუშის კვადრატები თუ მართკუთხედები. შუშის სიმახინჯეების სანახავად თბილისში არავინ ჩამოვა. რა უქნეს მირზაშაფის ქუჩას, რას დაამსგავსეს იქაურობა. ტურისტებზე და ეკონომიკაზე ტყუილად საუბრობენ. ეს არის ქალაქის იერსახის დამახინჯებისა და განადგურების პოლიტიკა და არა ეკონომიკის განვითარების.

კალაძესა და მთელ საკრებულოს იმაზე უნდა ეზრუნათ, როგორმე მოხვედრილიყო თბილისი იუნესკოს ნუსხაში. თუ უნდოდათ ეკონომიკა, ეს მოიზიდავდა ტურიზმსაც და ეკონომიკასაც. ამიტომ, საუბარი ეკონომიკის განვითარებაზე მრავალსართულიანი შუშის კორპუსების ჩადგმით, სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. იმ კორპუსებში სახლებსა და ოფისებს რუსები და მათი ჩინოვნიკების ოჯახის წევრები თუ იყიდიან, სხვა ვინ შეძლებს?!

დედაქალაქის წინააღმდეგ დაგეგმილი ბარბაროსობის შესაჩერებლად თბილისელები უნდა გამოვიდნენ. ისინი, ვისაც უყვარს ეს ქალაქი და ვინც მზად არის, იზრუნოს მის დასაცავად. არ შეიძლება ყველაფერს ასე შევეგუოთ. ეს ყველაფერი ხდება ჩვენი ჯანმრთელობის ხარჯზე, თბილისის ფილტვების დახშობის ხარჯზე. უნდა გვესმოდეს, რომ ჩვენი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ფასად, ვილაცები არ უნდა გავამდიდროთ. იმის ნაცვლად, რომ სწორედ იმ ტერიტორიაზე განაშენიანებულიყო დიდი მწვანე ზონა, პარკი, რომელიც შეიძლება ყოფილიყო ქალაქის ფილტვი, ბიზნესინტერესებს ეწირება ეს ყველაფერი.

**სამართალი**

# დაკავებულია 14 პირი. თბილისსა და რეგიონებში ამოღებულია უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, ბოლო პერიოდში ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თბილისსა და რეგიონებში უკანონო იარაღები და საბრძოლო მასალა ამოიღეს.

ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით 14 პირია დაკავებული.

დანაშაული 3-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა სამმართველოს თანამშრომლებმა, 1976 წელს დაბადებული ბ.ქ. დააკავეს. სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი და საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოიღეს ცეცხლსასროლი იარაღები, მჭიდი და 255 ვაზნა.



საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თბილისის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, წარსულში ნასამართლევები: 1975 წელს დაბადებული ზ.გ. და 1992 წელს დაბადებული ლ. კ. სხვადასხვა დროს დააკავეს. სამართალდამცველებმა ზ.გ.-ს ავტომობილის ჩხრეკის შედეგად ნივთმტკიცების სახით ამოიღეს ცეცხლსასროლი პისტოლეტი. ხოლო ლ.კ.-ს საცხოვრებელი ბინიდან ნივთმტკიცების სახით ამოღებულია ცეცხლსასროლი იარაღი და ვაზნები.

თბილისის პოლიციის დეპარტამენტის საგამოძიებო მთავარი სამმართველოსა და დეტექტივების მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ღონისძიებების შედეგად, 1995 წელს დაბადებული მ.მ. და 1984 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ო.ც. სხვადასხვა დროს დააკავეს. პოლიციამ ბრალდებულების საცხოვრებელი სახლების ჩხრეკის შედეგად ნივთმტკიცებად ამოიღო ორი ცეცხლსასროლი იარაღი, პისტოლეტი, 2 მჭიდი და 31 ვაზნა.



თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1998 წელს დაბადებული მ.ი. დააკავეს. მისი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად ცეცხლსასროლი იარაღისთვის განკუთვნილი ვაზნები ნივთმტკიცებადაა ამოღებული.

თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, 1969 წელს დაბადებული, ო.ზ. დააკავეს. სამართალდამცველებმა, ბრალდებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას 2 პისტოლეტი, „გეკოს" ტიპის შაშხანა და ვაზნები ამოიღეს.

სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის მესტიისა და ზუგდიდის რაიონული სამმართველოების თანამშრომლებმა, სხვადასხვა დროს ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 2 პირი – 1990 წელს დაბადებული მ.ა. და 1961 წელს დაბადებული კ.ს. დააკავეს. პოლიციამ ბრალდებულების საცხოვრებელი სახლების ჩხრეკის შედეგად ნივთმტკიცებად ამოიღო 3 ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, პისტოლეტი, 9 მჭიდი, 91 ვაზნა, გადაჭრილი სანადირო თოფი ე.წ ,,აბრეზი" და ხელყუმბარა.

კახეთის პოლიციის დეპარტამენტის სიღნაღის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1998 წელს დაბადებული ნ.ხ. დააკავეს. სამართალდამცველებმა ბრალდებულის პირადი ჩხრეკის შედეგად ცეცხლსასროლი პისტოლეტი ნივთმტკიცებად ამოიღეს.

იმერეთის რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის, წყალტუბოს და ზესტაფონის რაიონული სამმართველოების თანამშრომლებმა, სხვადასხვა დროს ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 2 პირი – 1971 წელს დაბადებული ო.რ. და 1978 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი შ.ლ. დააკავეს. პოლიციამ ბრალდებულების საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას 2 გადაჭრილი სანადირო თოფი და 3 ვაზნა ნივთმტკიცებად ამოიღო.

გურიის პოლიციის დეპარტამენტისა და ლანჩხუთის რაიონული სამმართველოების თანამშრომლებმა, სხვადასხვა დროს ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ორი პირი დააკავეს. სამართალდამცველებმა 1984 წელს დაბადებული გ.ს.-ს პირადი ჩხრეკის შედეგად ნივთმტკიცებად პისტოლეტი, 1 მჭიდი და 11 ვაზნა ამოიღეს. ხოლო, 1989 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ლ.გ.-ს საცხოვრებელი სახლიდან ნივთმტკიცებად ამოღებულია ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, გადაჭრილი სანადირო თოფი ე.წ ,,აბრეზი", 3 მჭიდი და 7 ვაზნა.

ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვისა და ტარების ფაქტზე გამოძიება, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს.

# დაკავებულია 30 წლამდე მამაკაცი, რომელმაც ცოლს სცემა



რუსთავში ქმარმა ცოლს სცემა. „ინფო რუსთავის" ინფორმაციით, მესხიშვილის ქუჩაზე, ერთ-ერთ საცხოვრებელ კორპუსებში ქალსა და კაცს შორის კამათი ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა, რა დროსაც 30 წლამდე მამაკაცმა 35 წლამდე ცოლს სცემა და სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა.

არსებული ინფორმაციით კაცი არაფხიზელ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

ფაქტის შესახებ ცნობილი გახდა პოლიციისთვის. სამართალდამცველებმა კაცი ბრალდებულის სახით დააკავეს.

# ოჯახი ლავასოღლის დაჭერას არ ადასტურებს



საქართველოს პროკურატატურა დუმს. შოთაძის უწყება არ ამბობს, ნამდვილად დააკავეს თუ არა მოლდოვაში მინდია ლავასოღლი და აპირებს თუ არა ქართული მხარე, მისი ექსტრადირების მოთხოვნით, კიშინიოვს მიმართოს, – ამის შესახებ ტვ პირველი იუწყება.

საკითხი აქტუალური მას შემდეგ გახდა, რაც მოლდოვის პოლიციამ სპეცოპერაციის კადრები გაავრცელა, მასალა 18 აგვისტოთია დათარიღებული. კადრებში ჩანს მინდია ლავასოღლიც, რომლის წინააღმდეგაც საქართველოში საქმეა აღძრული.

„პირველები" ესაუბრა მინდია გორაძის ოჯახის წევრებსაც. ოჯახი დაკავების ფაქტს კატეგორიულად უარყოფს.

– ჩემი ძმა დაკავებული არ არის, ის ძალიან კარგად გრძნობს თავს. არ არის ჩემი ძმა მოლდოვაში. რა მნიშვნელობა აქვს, როდის ვესაუბრე, რაში უნდა დამჭირდეს იმის დამალვა, დაკავებული არის თუ არა. დაუკავშირდით მოლდოვას და გეტყვიან, თუა იქ ჩემი ძმა 4 წელი ნამყოფი. არ არის დაკავებული. მქონდა მასთან კომუნიკაცია, – ამბობს ოჯახი.

# კაპროვანში, ზღვაში, რუსეთის მოქალაქე დაიხრჩო




კაპროვანში, ზღვაში, 30 წლამდე ბიჭი დაიხრჩო. ცნობილია, რომ ის რუსეთის მოქალაქეა.

ახალგაზრდა მამაკაცი ზღვაში გუშინ გაუჩინარდა, მაშველებმა კი მისი ცხედარი დღეს იპოვეს.

ამ დროისთვის, დამატებითი დეტალები უცნობია.

# ბათუმში 22 წლის ბიჭმა თავი მოიკლა




22 წლის მამაკაცმა ბათუმში სიცოცხლე, სავარაუდოდ, თვითმკვლელობით დაასრულა. ახალგაზრდა ბათუმში სამუშაოდ იმყოფებოდა და დღეს დილით სახლში ჩამომხრჩვალი ნახეს.

გარდაცვლილი ახალგაზრდა მარტვილიდან იყო.

– უპატიოსნესი ახალგაზრდა, ჩვენი ირაკლი, რა მოხდა, არ ვიცით. ბათუმში სამუშაოდ იყო წასული და დღეს დილით ნახეს ჩამომხრჩვალი, – განუცხადა წყარომ „გურია ნიუსს".

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ორი მდინარის შეერთების ადგილზე ორი 52-სართულიანი კორპუსი უნდა ჩაიდგას"

## თბილისის საკრებულოს უმრავლესობამ ცათამბჯენების სადავო პროექტებს მხარი დაუჭირა

მარიამ მჭედლიშვილი

### აურზაური მომავალი არჩევნების გამო

მომავალი წლის არჩევნების სამართლიანად ჩატარება გასულ კვირაში ერთ-ერთი მთავარი განსახილველი საკითხი იყო. 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებისას საარჩევნო უბნების 90%-ზე ხმის მიცემა ელექტრონულად მოხდება. დისტანციურად ხმის მიცემა აკრძალულია.

ამ თემაზე აშშ-ის ელჩმა კელი დეგნანმაც (მას უფლებამოსილების ვადა ეწურება) ისაუბრა რადიო „თავისუფლებისათვის" მიცემულ ინტერვიუსა და ბოლო ბრიფინგზე. დიპლომატმა აღნიშნა, რომ ხმის მიცემის ელექტრონულ სისტემას გარკვეული წვრთნა სჭირდება, რაშიც აშშ მზადაა, დაეხმაროს საქართველოს.

მისი სიტყვებით, აშშ-ის საელჩო მხარს დაუჭერს განათლების კამპანიას, რომელიც, გარდა იმისა, რომ ადამიანებს აუხსნის თუ რატომ არის მათი ხმა მნიშვნელოვანი, განუმარტავს იმასაც, როგორ მუშაობს ხმის მიცემის ელექტრონული სისტემა. კელი დეგნანმა აღნიშნა, რომ საქართველოში ადგილობრივი არჩევნების დროს, როცა უბნების 10%-ზე დაინერგა ელექტრონული ხმის მიცემა, იყო გარკვეული პრობლემები.

– აშშ-შიც ვნახეთ, რომ ელექტრონული სისტემა არ იძლევა იმის გარანტიას, რომ ყველაფერი სუფთა და სამართლიანი იქნება. მისით მანიპულაციაც შესაძლებელია, თუკი ადამიანები არ არიან განწვრთნილები ამ სისტემის გამოყენებაზე და თუკი ამომრჩევლებს არ ესმით, ის როგორ მუშაობს... მნიშვნელოვანია მონიტორინგის გრძელვადიანი მისია, რადგან მხოლოდ არჩევნების დღეს არ ხდება არასწორი რაღაცები, – განაცხადა ამერიკელმა დიპლომატმა.



მისი სიტყვებით, არჩევნებამდე თვეებით ადრე საქართველოში ხდება ადამიანების დაშინება და მოსყიდვა. ამას სხვადასხვა ხელისუფლება იყენებს. „ეს არის ტაქტიკები, რომლებიც საქართველოში გამოიყენება ბევრი, ბევრი წელია სხვადასხვა ხელისუფლების დროს, – განმარტა კელი დეგნანმა.

მომავალ არჩევნებსა და ელექტრონული ხმის მიცემის პოზიტიურობაზე ყურადღება გაამახვილა „ქართული ოცნების" აღმასრულებელმა მდივანმა მამუკა მდინარაძემ, რომელსაც აშშ-ის ელჩი არ უხსენებია. მან მომავალი არჩევნების დისკრედიტაციის მცდელობა იმედდაკარგულ ოპოზიციასა და ზოგიერთ არასამთავრობო ორგანიზაციას დაუკავშირა.

– ამომრჩეველი ხმას აძლევს საარჩევნო უბანზე ელექტრონული აპარატის მეშვეობით, რომელიც არ არის მიერთებული ქსელთან. შედეგის გაკონტროლება ხდება ბიულეტენების ხელით გადათვლით... ტექნიკურად როგორ უნდა მოხდეს მანიპულაცია, თუ აპარატი არც ქსელშია ჩართული, არც მოქალაქე აძლევს ხმას დისტანციურად და გადათვლა ხელითაც ხდება? თუ ვინმე მანიპულაციაზე მანიპულაციურად საუბრობს, ესეც უნდა ახსნას, – გამოთქვა მმართველი პარტიის პოზიცია მდინარაძემ.

მისი აზრით, „სასოწარკვეთილი პოლიტიკური ჯგუფები წინასწარვე ხვდებიან გარდაუვალ მარცხს. მათ იმავდრიულად იციან, რომ რომელიმე არასამთავრობო ორგანიზაციის მხრიდან პარალელური ხმის დათვლის მონაცემების გაყალბებას ან არჩევნების სხვა სახის მადისკრედიტებელ, აგენტურულ სპეცოპერაციას აზრი აღარ ექნება".

საკითხს გამოეხმაურა ცესკოს თავმჯდომარეობის მოვალეობის შემსრულებელი გიორგი კალანდარიშვილი. მან განაცხადა:

– აშშ-ის ელჩის გამოსვლას მოჰყვა მთელი რიგი ინტერპრეტაციები... ეს არის საარჩევნო ადმინისტრაციის დისკრედიტაცია და ელექტრონული პროცესის დაზიანება... მოვუწოდებთ ჩართულ მხარეებს, თავი შეიკავონ ისეთი განცხადებების გაკეთებისაგან, რომელსაც შეუძლია ჩირქი მოსცხოს და დააზიანოს ისეთი ისტორიული პროცესი, როგორიცაა ტექნოლოგიების ფართომასშტაბიანი გამოყენება ჩვენს ქვეყანაში, – განაცხადა ცესკოს ხელმძღვანელმა.

კალანდარიშვილი პირობას იძლევა, რომ 2024 წლის არჩევნებს ქვეყანა მაქსიმალურად მომზადებული შეხვდება, არჩევნები კი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩაივლის.

• • •

### შოვის ტრაგედიის კვლევა, ნაცმოძრაობის შუალედური ანგარიში, სეისმოლოგის დისკრედიტაციის მცდელობა

საზოგადოებას 3 აგვისტოს შოვში მომხდარ სტიქიაზე სრული ინფორმაციის გაგება უნდა. ერთ-ერთი შეკითხვა ეხება სტიქიურ უბედურებაზე რეაგირების სისწრაფეს. ადამიანების ნაწილი დარწმუნებულია, რომ ობიექტურ გამოძიებას დროებითი საპარლამენტო საგამოძიებო კომისია მოახერხებს. კომისიის შექმნაზე ოპოზიციის ინიციატივა დარეგისტრირებულია. ეყოლება თუ არა ამ საკითხს საკმარისი მხარდამჭერი პარლამენტში, სექტემბერში გამოჩნდება.

ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ საკითხზე პარტიული აქტივობაც გამოიჩინა და საზოგადოებას 21 აგვისტოს შესთავაზა 3 აგვისტოს სტიქიურ უბედურებაზე საკუთარი გამოძიების შუალედური ანგარიში.

– სტიქიურ უბედურებასთან დაკავშირებით იკვეთება ხელისუფლების გულგრილობა... საზოგადოებას არ აქვს ინფორმაცია, რა გახდა სამძებრო-სამაშველო სამუშაოების ოპერაციის დაგვიანების მიზეზი, – განაცხადა ანგარიშის წარდგენისას პარტიის თავმჯდომარემ ლევან ხაბეიშვილმა.

მისი თქმით, პარტიას აქვს დაუდასტურებელი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ დაგვიანებული რეაგირების მიზეზი გასართობი თავყრილობა გახდა. კერძოდ, მაღალი თანამდებების პირები მცხეთაში, რესტორან „მარანი ჰოლში", სუსის შექმნის იუბილეს აღნიშნავდნენ.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, გივი მიქანაძე აღნიშნავს, რომ ხელისუფლებამ ტრაგედიის მოხდენისთანავე მოახდინა რეაგირება. მისივე შეფასებით, პოლიტიკურად გაკოტრებულ ნაცმოძრაობას სხვა არაფერი დარჩენია, გარდა იმისა, რომ გამოიყენოს უდიდესი ტრაგედია საკუთარი პოლიტიკური მიზნებისთვის.

3 აგვისტოს შემდეგ თავის დასკვნებს მომხდარზე ხალხს აცნობდა სეისმური მონიტორინგის ეროვნული ცენტრის დირექტორი თეა გოდოლაძე. გასულ კვირას თეა გოდოლაძე სიტყვიერი თავდასხმების ობიექტი გახდა. თუმცა, მას სოლიდარობა ბევრმა ცნობილმა თუ უცნობმა ადამიანმა გამოუცხადა.

„კურიერმა" გაავრცელა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ თეა გოდოლაძე ბრალდებულია ოჯახის წევრის მიმართ ძალადობაში.

თეა გოდოლაძე ამბობს, რომ თვითონ გახდა პარტნიორის მხრიდან ძალადობის ობიექტი. ორგანიზაცია „საფარმა", რომელიც მის უფლებებს იცავდა, ეს დაადასტურა.

– ხელისუფლება ცდილობს, გამაჩუმოს, რომ აღარ ვილაპარკო შოვში მომხდარ ტრაგედიაზე. ჩემი შანტაჟი პირადი ცხოვრებით არ გამოგივათ, – დაწერა სეისმური მონიტორინგის ცენტრის დირექტორმა.

თეა გოდოლაძემ სიტყვას საქმე მოაყოლა და დედაქალაქის საკრებულოშიც იაქტიურა.

• • •

### დაპირისპირება თბილისის საკრებულოში

შოვის ტრაგედიის ფონზე ადამიანები ადრინდელზე უფრო კრიტიკულად აფასებენ სამშენებლო პროექტებს, განსაკუთრებით, ცათამბჯენების მშენებლობას.

თბილისის საკრებულოში დაპირისპირება სწორედ ახალი ცათამბჯენების პერსპექტივამ გამოიწვია.

თავიდან კამათი ურბანული კომისიის სხდომაზე მიმდინარეობდა. გეოლოგები და გარემოს დამცველები სხდომის დროს საკრებულოში მივიდნენ ბანერებით „არა ურბანულ გენოციდს".

სახიფათო მშენებლობებს სხვებთან ერთად აპროტესტებდა სეისმური მონიტორინგის ცენტრის დირექტორი თეა გოდოლაძე.

– ორი მდინარის შეერთების წერტილია იქ, სადაც ორი 52-სართულიანი კორპუსი უნდა ჩაიდგას. ეს 2015 წელს დატბორვის არეალი იყო. ადამიანების კონცენტრაციას აკეთებთ ისეთ ტერიტორიაზე, რომელიც შემდგომში ბუნებრივი კატასტროფის საფრთხე შეიძლება იყოს, – განაცხადა თეა გოდოლაძემ.

საკრებულოს წევრი „ლელოდან" საბა ბუაძე აღნიშნავდა, რომ თბილისის მერიას დაგეგმილი აქვს არაერთი პროექტის განხორციელება, რომელსაც ახლავს ურბანული, სატრანსპორტო და უსაფრთხოების რისკები.

– არსებობს კონკრეტული კორუფციული ინტერესი და ყველა პრობლემატური პროექტის უკან დგას ხმაურიანი სახელი და გვარი, – თქვა ბუაძემ.

მშენებლობების მოწინააღმდეგეებმა მოითხოვეს მორატორიუმის გამოცხადება „მშენებლობისათვის პრობლემურ ადგილებში".



ფრაქცია „საქართველოსთვის" წევრებმა მიმართეს საქართველოს პროკურატურას მოწოდებით, დადგინდეს, იკვეთება თუ არა ამ საკითხში პოლიტიკური კორუფცია „ქართული ოცნების" წევრებისა და მათი ოჯახების მხრიდან.

დაპირისპირება გაგრძელდა მეორე დღეს, 25 აგვისტოს, საკრებულოს სხდომაზე. ცათამბჯენების მშენებლობის პროექტების წინააღმდეგ გამოვიდა მთელი ოპოზიცია. საუბარია ცათამბჯენებისა და კომპლექსების აგებაზე ვაკეში (სპორტის აკადემიის ადგილზე), ნაძალადევში (ყოფილი ვაგონშემკეთებელი ქარხნის ტერიტორია), ასევე ლაგუნა ვერეს მიმდებარედ და დიდ დიღომში.

სხდომაზე სამოქალაქო აქტივისტები და სპეციალისტები შერჩევვით შეუშვეს. „ოცნების" წევრების განმარტებით, ამის მიზეზია „უზრდელობა და უხამსობა". ვინც სხდომაზე ვერ მოხვდა, პროტესტს გარეთ გამოხატავდა.

პარტია „ხალხისათვის" წევრმა ნინო წულაძემ სხდომათა დარბაზში მარცვეული დააბნია, ეს იყო იმის ჩვენება, რომ ხელისუფლებასთან ლაპარაკი იგივეა, რაც კედლისათვის ცერცვის შეყრა.

მან დაასახელა გვარები, რომლებსაც მომავალი მშენებლობები უკავშირდება. ესენია: ნინო წილოსანი (მისი ოჯახის წევრები), გოჩა ენუქიძე, ნოშრევან ნამორაძე.

ნაცმოს წევრებმა, რომლებმაც მოგვიანებით საკრებულოს სხდომა პროტესტის ნიშნად დატოვეს, დასახელებული პირების ფოტოებთან ერთად ასევე აფრიალებდნენ ბიძინა ივანიშვილის, ვანო ჩხარტიშვილისა და ირაკლი რუხაძის ფოტოებს.

„ქართული ოცნების" წარმომადგენლები ოპოზიციას ქულების მოპოვების მცდელობასა და ქვეყნის საწინააღმდეგო პროექტებისათვის ხელის შეშლაში სდებდნენ ბრალს.

– მიღებული იქნება ყველა ის გადაწყვეტილება, რომელიც სჭირდება ქვეყანას, ოპოზიციას კი პასუხი მოეთხოვება იმისათვის, რომ ხელს უშლის ქვეყნისა და თბილისის განვითარებას, – განაცხადა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ ზურაბ აბაშიძემ.

აბაშიძემ „არანაციონალი" ოპოზიციონერები ასე დაახასიათა:

– ჩვენი ოპონენტები აწყობენ იაფფასიან სპექტაკლებს და ამბობენ, ნაცმოსთან ნუ გაგვაიგივებთო. მინდა მათ მივმართო, ეს ნუ გაგიკვირდებათ, იმიტომ, რომ ხელწერა, მესიჯბოქსი, განწყობა ერთი გაქვთ. საზოგადოებას ნულარ მოსთხოვთ პასუხს, თუ რატომ არ გაძლევთ ხმას, – უთხრა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებს.

• • •

### „მალე შეიძლება სააკაშვილმა განაცხადოს, რომ უკრაინის პოლიტიკაში ბრუნდება"



გასულ კვირაში განხილვის საგნად იქცა კლინიკა „ვივამედში" მყოფი პატიმრის, ექსპრეზიდენტ სააკაშვილის პოლიტიკური გზავნილები.

როგორც ცნობილია, სააკაშვილის პირადი წარმომადგენელი, ნაცმოძრაობის წევრი სოფო ჯაფარიძე სააკაშვილის სახელით სხვადსხვა რეგიონში დადის და მოქალაქეებს ხვდება. ამ აქტივობას „გამარჯვების კამპანია" დაერქვა.

კომენტატორებმა გაიხსენეს, რომ სააკაშვილი პატიმარია და საქართველოს მოქალაქე არ არის. ამ პირობებში ეს წინასაარჩევნო მოძრაობები ძალიან ბუნდოვანია. საქართველოს კანონმდებლობით, უცხო ქვეყნის მოქალაქეს ქართულ პოლიტიკაში მონაწილეობა ეკრძალება.

– თავადაც არ იციან, რა იქნება მათი ქმედებები მომავალში. ირღვევა თუ არა კანონი, წინასწარ ვერ შევაფასებ. თუ ეს გულისხმობს სააკაშვილის მონაწილეობას ქართულ პოლიტიკაში, ეს იქნება არამართლზომიერი აქტი, – თქვა „ქართული ოცნების" წევრმა მიხეილ სარჯველაძემ.

თემაზე ისაუბრა მმართველი პარტიის წევრმა გია ცაგარეიშვილმა. მისი აზრით, სააკაშვილს ნაცმოს წარმომადგენლების იმედი არა აქვს. მისივე ვარაუდით, სააკაშვილი თავის ნათქვამს ბევრჯერ გადათქვამს.

– ეტყობა, სააკაშვილს პარტიულმა ადამიანებმა იმედები ვერ გაუმართლეს და ახალ სოფო ჯაფარიძეს დაავალა თავისი ინტერესების გახმოვანება ქალაქებსა და სოფლებში... არავითარი შედეგის მომტანი ეს არ იქნება, – ასკვნის ცაგარეიშვილი.

მისი პროგნოზით, ექსპრეზიდენტი გეგმებს არაერთხელ შეიცვლის:

– შეიძლება მომავალ კვირას გააკეთოს განცხადება, რომ ის არ აპირებს ქართულ პოლიტიკაში მონაწილეობას და რომ ის უკრაინის მოქალაქეა, დაეხსნება საპატიმროს, წავა უკრაინაში და გააგრძელებს პოლიტიკურ კარიერას. ერთი კვირა გაივლის და იტყვის, რომ მისი ადგილი აქ არის, ეს არის მისი ჯვარი და მისია. გავა ერთი თვე და იტყვის, რომ უკრაინაში ხედავს თავის თავს ოდესის გუბერნატორად ან რომელიმე სახურავზე მორბენლად. შემდეგ იტყვის, რომ საქართველოში უნდა კარიერის გაგრძელება. ეს პოლიტიკური მეტეორიზმი მუდმივად ხდება მის თავს, – აცხადებს ცაგარეიშვილი.

პოლიტიკოსი სიყალბეს უწოდებს სააკაშვილის განცხადებას იმის შესახებ, რომ მას საქართველოს მოქალაქეობა წაართვეს. მისი სიტყვებით, სააკაშვილს მარგველაშვილის პრეზიდენტობისას უნდოდა ოდესის გუბერნატორობა. უკრაინის კანონი არ იძლევა საშუალებას, რომ რომელიმე ადმინისტრაციული და პოლიტიკური თანამდებობა დაიკავოს უცხო ქვეყნის მოქალაქემ. „ამიტომ სააკაშვილმა უარყო საქართველოს მოქალაქეობა, მიიღო უკრაინის მოქალაქეობა და დაინიშნა ოდესის გუბერნატორად".

## საჩხერე-ონის გზაზე მიწა ჩამოიშალა



– საჩხერე-ონის გზაზე, სამშენებლო სამუშაოების შედეგად მიწა ჩამოიშალა, ეს კიდევ ერთი დასტურია იმის, თუ რა დღეშია ჩვენი ქვეყანა. ამ ქვეყანაში დასვენება უკვე შეუძლებელი ხდება, რადგან არ ვიცით, როდის რა დაგვეცემა თავში, – ამის შესახებ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ამბროლაურის ორგანიზაციის თავმჯდომარემ, დიმიტრი ფერაძემ განაცხადა.

– როგორც მოგეხსენებათ, საჩხერე-ონის გზაზე, სამშენებლო სამუშაოების შედეგად მიწა ჩამოიშალა, ეს კიდევ ერთი დასტურია იმისა, თუ რა დღეშია ჩვენი ქვეყანა.

ტურისტულად ვერ ვისვენებთ, გადაადგილების საშუალებაც კი არ გვაქვს, გზადაგზა ხან მიწა ჩამოგვეშლება თავზე, სად რა დაგვეცემა თავზე, არავინ იცის.

ხელისუფლების მესვეურები გამოვლენ და იტყვიან, რომ ყველაფერი კარგად არის, ამას ბუნებას და სტიქიურ უბედურებას ხომ ვერ დააბრალებენ. როგორც ქვეყანა არის ჩამოშლილი, ასე მიმდინარეობს ყველა ტენდერი და ყველა სამუშაო საქართველოში, რაც თვალხილულია.

არ ვიცით, წინ რა გველოდება, ეს მთავრობა სიურპრიზებს ყოველდღე გვიწყობს თავისი კომპანიებით? და თავისი წარმომადგენლებით, – აღნიშნა დიმიტრი ფერაძემ, რომლის კომენტარსაც პარტიის პრესსამსახური ავრცელებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თუ მოძრაობის დროს ხრაშუნს იგრძნობთ

**მედიკოსები ამბობენ, რომ ცივილიზაციის შედეგად ადამიანი სულ უფრო მეტად ემალება მზეს – სამოსით, შენობის დახმარებით, მიწისქვეშა გადასასვლელებით და ა.შ. ამის შედეგად ორგანიზმს აკლდება ბიოლოგიური პროცესების ბუნებრივი სტიმულატორი. ფოტოთერაპია, რაც სინათლის გამოსხივების ზემოქმედებას გულისხმობს ორგანიზმზე, ამა თუ იმ ხარისხით, აღადგენს ამ დანაკლისს.**



მზით მკურნალობის პირველი სკოლის გახსნა ჰიპოკრატეს სახელს უკავშირდება.

მე-19-20 საუკუნეების გასაყარზე აქტიურად ვითარდებოდა ფოტოქრომოთერაპია, ანუ სინათლის ხილული ნაწილის ვიწრო სპექტრით მკურნალობა. იგი ფართოდ გამოიყენებოდა ყვავილის ცხელების, ფეხის ღია წყლულის, საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის, რბილი ქსოვილების ტრავმების დროს მწვავე პერიოდში, ამცირებდა პოსტტრავმულ შეშუპებას, სისხლჩაქცევებს. 1889 წელს დანიელმა ექიმ-გამომგონებელმა ფინზენმა შექმნა აპარატი, შეიმუშავა ფოტოთერაპიის მეთოდიკა და პრინციპები, რისთვისაც იგი დაჯილდოვდა მედიცინის დარგში ნობელის პრემიით.

მოგვიანებით გამოჩნდა ამერიკელი რადიობიოლოგების შრომები და ბოლოს ლაზერების, სუფთა სხივის იდეალური წყაროს, შექმნა გახდა ფოტოთერაპიის ახალი ხარისხის – ლაზეროთერაპიის განვითარების საფუძველი.

70-იანი წლების მეორე ნახევრიდან ლაზეროთერაპიამ გააფართოვა მისი გამოყენების არეალი. ის გამოიყენება ანთებადი დეგენერაციული-დისტროფიული ხასიათის საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის დაავადებების დროს, შენელებული კონსოლიდაციის ძვლების მოტეხილობების დროს, უროლოგიური, ნევროლოგიური, დერმატოლოგიური დაავადებებისას და მრავალი სხვა პათოლოგიური მდგომარეობების შემთხვევაში. ლაზეროთერაპია აქტიურად გამოიყენება ართროზების დროს.

ართროზი სახსრების დაავადებაა, რომლის საფუძველს ხრტილის დეგენერაციული დაზიანება წარმოადგენს. ძვლოვანი ცვლილებები წარმოიქმნება კუთხოვანი წანაზარდების, კისტოზური გაიშვიათების სახით. დაავადება პოლიეტიოლოგიური გახლავთ და განსაკუთრებით დასტურდება მექანიკური ფაქტორი – ხრტილის მაკრო თუ მიკროტრავმატიზაცია; დასტურდება სახსრის სტატიკის დარღვევა, რაც განაპირობებს დატვირთვის გაზრდას სასახსრე ზედაპირის ცალკეულ ნაწილებზე და, საბოლოოდ, სახსროვანი ხრტილის რღვევას. ყურადღება მახვილდება ასევე ანგიოტროფიკულ ფაქტორზე. მიზეზთა შორისაა ხრტილოვანი ქსოვილის მეტაბოლიზმის ცვლილებაც.

დაავადების კლასიფიკაციას ორი სახე აქვს – პირველადი, ანუ ქრონიკული ოსტეოართროზი, როგორც დამოუკიდებელი დაავადება და მეორადი მადეფორმირებელი ართროზი, როგორც ძირითადი დაავადების გართულება – მენჯ-ბარძაყის სახსრის დისპლაზია, სახსარშიდა მოტეხილობები. მადეფორმირებელი ართროზით ძირითადად ავადდებიან 40-50 წლის ასაკში, უპირატესად, ქალები, ზოგჯერ უფრო ახალგაზრდებიც, იშვიათად – ბავშვებიც.

მადეფორმირებელი ოსტეოართროზი ხშირად და უპირატესად აზიანებს ქვემო კიდურების მსხვილ სახსრებს, განსაკუთრებით, მენჯ-ბარძაყის და მუხლის სახსრებს. დაავადება ვითარდება ნელ-ნელა, მწვავე დასაწყისის გარეშე. პირველი სიმპტომები გამოვლინდება მოძრაობის დროს ხრაშუნის სახით, მოსვენებულ მდგომარეობაში ან ძილის შემდეგ სტარტული ტკივილების სახით მოძრაობის დაწყებისთანავე და მალე გაივლის მოძრაობის დროს. მოგვიანებით ტკივილი ჩნდება ხანგრძლივი და გაძლიერებული დატვირთვის შემდეგ, რომელიც წყნარდება მოსვენებულ მდგომარეობაში. თანდათან ტკივილის დინამიკა ტიპიურ ხასიათს იღებს. სახსროვანი ტკივილი განაპირობებს კუნთების რეფლექტორულ შეკუმშვას, ღრმავდება ხრტილში დეგენერაციული ცვლილებები და ტკივილი ძლიერდება. თანდათან მცირდება სახსარში მოძრაობის მოცულობა, პროგრესირებს სახსრის დეფორმაცია.

დაავადების მიმდინარეობის პირველ სტადიაზე დამახასიათებელია სახსარში მოძრაობის ზომიერი შეზღუდვა, ტკივილი სახსარში მოსვენებულ მდგომარეობაში. მეორე სტადიაში მოძრაობის შეზღუდვა პროგრესირებს. მოძრაობას თან ახლავს უხეში ხრაშუნი, პროგრესირებს ტკივილიც, რომელიც მცირდება ხანგრძლივი განტვირთვის შემდეგ. ვითარდება კიდურის დამოკლება, დამახასიათებელია ხანგამოშვებითი კოჭლობა, მენჯის ფუნქციონალური გადახრა და ხერხემლის წელის მიდამოს სქოლიოზი.

მესამე სტადიისთვის დამახასიათებელია სახსარში მოძრაობის სრული დაკარგვა, შენარჩუნებულია რხევითი მოძრაობები.

მადეფორმირებელი ოსტეოართროზისათვის დამახასიათებელია მეორადი ანთებითი ცვლილებები სახსარში. ავადმყოფთა 70 პროცენტში ვითარდება სახსრების დეფიგურაცია და დეფორმაცია. აღინიშნება დაბუჟება, კიდურების კრუნჩხვები.

# რატომ უნდა გვეშინოდეს ნაწლავების პარაზიტების

**ჭიების შეჭრა ადამიანის ორგანიზმში საკმაოდ ხშირი პათოლოგიაა. პარაზიტული ჭიებით გამოწვეულ დაავადებას ჰელმინთოზები ეწოდება. ჭიებით დაავადება იწვევს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ნორმალური ფუნქციონირების მოშლას, ანემიას, ნევროზულ მდგომარეობას, შრომისუნარიანობის დაქვეითებას. სწორი მკურნალობისთვის საჭიროა პარაზიტის სახეობის ზუსტი დადგენა და სწორი საპროფილაქტიკო ღონისძიებების ჩატარება.**



**მრგვალი ჭიებია:** ასკარიდა, წვეტა ჭია, სისხლმწოვი ჭია – ანკილოსტომა, ნეკატორი, თამთავა და ტრიქინელა.

**ბრტყელი ჭიებია:** ხარის სოლიტერი, ღორის სოლიტერი, განიერი ჭია, ქონდარა ჭია.

**მომწოვი ჭიებია:** ფასციოლა და კატის ანუ ციმბირის ორპირა.

ასკარიდას სიგრძე საშუალოდ 20-40 სმ-ს უდრის. მოწითალოა და აქვს ჭიაყელას შესახედაობა. ასკარიდა იბუდებს წვრილ ნაწლავებში და დღე-ღამეში 200.000 კვერცხს დებს, რომლებიც ერთი თვის განმავლობაში მწიფდებიან.

დაბინძურებული ხელებით ჭამის დროს ადამიანმა შეიძლება ასეთი მომწიფებული კვერცხი გადაყლაპოს, წვრილ ნაწლავებში მოხვედრისთანავე მისგან გამოიჩეკება ლავრა, რომელიც მოძრაობს. ნაწლავის ლორწოვანი გარსის დაზიანებისას მოხვდება ვენურ სისტემაში, გაივლის ღვიძლს და შემდეგ შეაღწევს ფილტვებში, ალვეოლებიდან გამოიდევნება და კვლავ პირის ღრუში ხვდება. აქედან ლავრა ისევ გადაიყლაპება და მოხვდება წვრილ ნაწლავებში, სადაც ზრდას ასრულებს და გადაიქცევა მოზრდილ პარაზიტად. პარაზიტი ერთ წლამდე ძლებს, დაავადების გავრცელების წყარო დაავადებული ადამიანია.

მატლის მოძრაობის პერიოდში ავადმყოფს აღენიშნება ტემპერატურის მომატება, ალერგიული მოვლენები. სისხლში მომატებულია ეოზინოფილები. ფილტვში გადაადგილებისას შეიძლება განვითარდეს პნევმონია ან ბრონქიტი. ნაწლავებში მოკალათებული ასკარიდები მავნე ნივთიერებებს გამოყოფენ და ორგანიზმს შხამავენ. ავადმყოფს აწუხებს უმადობა, ნერწყვის დენა, გულისრევა, დილით უზმოზე პირღებინება, ტკივილი ჭიპის ირგვლივ, შებერილობა, ყაბზობა, აღგზნებულობა, თავის ტკივილი. ბავშვებში შეიძლება ეპილეფსიური გულყრები განვითარდეს. დიდი რაოდენობის ასკარიდების გორგალმა შეიძლება ნაწლავების გაუვალობა გამოიწვიოს. ზოგჯერ ჭია ნაწლავის ან სანაღვლე გზების დახშობას იწვევს, რაც სასწრაფო ქირურგიულ ჩარევას მოითხოვს. ასკარიდებისგან თავის დაცვის საუკეთესო საშუალება უმი ბოსტნეულის კარგად გარეცხვა.

თუ ოჯახის რომელიმე წევრი ასკარიდოზით არის დაავადებული, გამოკვლევა სხვა წევრებსაც უნდა ჩაუტარდეთ. ასკარიდოზის მკურნალობა ექიმის მეთვალყურეობით უნდა მოხდეს. დაუშვებელია წამლის დოზის თვითნებური გაზრდა ან შემცირება, რაც შეიძლება არაეფექტური აღმოჩნდეს.

ენტერობიოზი. ენტერობიოზს იწვევს ენტერობუსი, წვეტა ჭია ანუ კუდმახვილა. თეთრი ფერის მრგვალი ჭიაა, მდედრის სიგრძე 8-12 მმ, მამრი კი – 3-5 მმ. პარაზიტები წვრილი ნაწლავის ქვემო და მსხვილი ნაწლავის დასაწყისში ცხოვრობენ. ენტერობუსის კვერცხები რამდენიმე საათში მწიფდება.

ანკილოსტომიდოზი. ეს არის ჭიებით ინვაზიის ერთ-ერთი მძიმე ფორმა. ანკილოსტომა 10-16 მმ სიგრძისაა. ანკილოსტომა ბინადრობს 12-გოჯა ნაწლავში, ანკილოსტომის კვერცხიდან 2-3 დღეში იჩეკება ლარვა, რომელიც ადამიანის ორგანიზმში შეჭრისას იწვევს დაავადებას. ლარვა შეიძლება კანიდან შეიჭრას, აქედან კი სისხლის გზით ხვდება ფილტვებში, საჭმლის მომნელებელ სისტემაში. ერთ თვეში კი ყალიბდება ზრდასრულ პარაზიტად.

ანკილოსტომა იკვებება ადამიანის სისხლით. მისი რაოდენობა ადამიანის ორგანიზმში აღწევს მრავალ ათასს. პარაზიტი იწვევს სისხლის ცვლილებებსა და ანემიას. ანემია ზოგჯერ იმდენად ძლიერია, რომ ვითარდება ქოშინი, გულის ფრიალი, შეშუპება. ავადმყოფი ძლიერ ფერმკრთალია. ანკილოსტომის მიერ გამოყოფილი სეკრეტი ათხიერებს სისხლს და იწვევს ნაწლავებიდან სისხლდენას. უმეტესწილად ფაღარათი ვითარდება. ზოგჯერ გემოვნება გაუკუღმართებულია. ავადმყოფები ჭამენ თიხას, ცარცს, მიწას. ვითარდება ავიტამინოზი და ნევროზული დაავადებები. მკურნალობა აუცილებლად სტაციონარში უნდა ჩატარდეს.

ტრიქინელოზი. ჭია პარაზიტობს ცხოველებში და ადამიანებში. დაავადების გავრცელების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ღორის დაავადება. სქესობრივად მომწიფებული პარაზიტები ბინადრობენ წვრილ ნაწლავში. შემდეგ განაყოფიერებული მდედრი შეიჭრება ნაწლავის კედლის სისქეში და ლარვებს გამოჩეკს. ლარვები სისხლის საშუალებით მოითესებიან მთელ ორგანიზმში და ბუდობენ განივზოლიან კუნთებში. ლარვა დახვეულია სპირალივით, მის გარშემო კი წარმოიქმნება კაფსულა, რომელიც ზოგჯერ იკირება. თუ ადამიანმა შეჭამა ღორის ხორცი, რომელიც შეიცავს ტრიქინელებს (კაფსულაში გახვეულ ლარვებს), ნაწლავში კაფსულა გაიხსნება, ლარვა გათავისუფლდება, შეიჭრება ნაწლავებში, სადაც მომწიფებულ ჭიად გადაიქცევა. გამრავლების ციკლი ხელახლა იწყება.

ტრიქინელოზით დაავადებისას ავადმყოფი საკმაოდ მძიმედაა.

ლარვის შეჭრიდან ორი-სამი კვირის შემდეგ სხეულის ტემპერატურა 40-41 გრადუსს აღწევს. დაავადება მიმდინარეობს ინფექციურ-ალერგიული სიმპტომების გამოვლენით. კანზე ვითარდება გამონაყარი. ავადმყოფს აწუხებს ტანის ქავილი. ვითარდება სახის შეშუპება. ახასიათებს ჩონჩხის კუნთებისა და ენის ტკივილი. ვითარდება გულისრევა, ღებინება, ფაღარათი. მაღალი სიცხის დროს ხშირია ბოდვა, ჰალუცინაცია. სისხლში იმატებს ლეიკოციტები და ეოზინოფილები.

მკურნალობა აუცილებლად სტაციონარში უნდა ჩატარდეს.

ექინოკოკოზი. მას იწვევს ლენტურა ჭია, რომელიც ბინადრობს მტაცებელი ცხოველების – ძაღლის, მგლის, ტურის... ნაწლავებში. განსაკუთრებით საშიშია დაავადებული ძაღლი, რადგან იგი პატრონის ოჯახს აბინძურებს. ცხოველის ორგანიზმში არსებული ჭიის მომწიფებული ნაწევრები გარეთ გამოიყოფა. კვერცხებით გაბინძურებული ხელებითა და საკვებით ხდება ადამიანის დასნებოვნებაც. ამის შემდეგ იწყება ექინოკოკის განვითარების მეორე სტადიაც – მატლის სტადია. კუჭ-ნაწლავში მოხვედრილი კვერცხიდან თავისუფლდება ჩანასახი, რომელიც შეიჭრება ლორწოვან გარსში, სისხლის ნაკადით მიაღწევს ღვიძლს, ფილტვს, უფრო იშვიათად, ელენთას, თირკმლებს, სარძევე ჯირკვლებს, შარდის ბუშტს და სხვა ორგანოებს. ჩანასახი იზრდება და წლების განმავლობაში იზრდება ექინოკოკის ბუშტი, რომლის შიგნით წარმოიქმნება მრავლობითი ნაჩეკი ლენტურას ჩანასახოვანი თავი.

დაავადების გამოვლინება დამოკიდებულია ექინოკოკის ბუშტის განლაგებაზე, მათ რაოდენობაზე, ზომაზე და ორგანიზმის საერთო მდგომარეობაზე. ბუშტის ზრდასთან ერთად, ხდება ორგანიზმში ქსოვილების დაზიანებაც, საბოლოოდ, ამა თუ იმ ორგანოს ფუნქციის მოშლა. ღვიძლის ექინოკოკის დროს ზიანდება ღვიძლის ქსოვილი, შეიძლება განვითარდეს სიყვითლე, სისხლის ნაკადის გადაადგილება შეფერხებულია, რამაც შეიძლება მუცელში სითხის გაჟონვაც კი გამოიწვიოს. საშიშია ექინოკოკის გასკდომა, რასაც შეიძლება მოჰყვეს ალერგიული შოკი. ექინოკოკის ბუშტი შეიძლება დაჩირქდეს. მკურნალობა ძირითადად ქირურგიულია.

ტენიოზი. მას იწვევს ღორის ლენტორა ჭია, რომელიც ზრდასრულებისას 4-6 მეტრს აღწევს და ადამიანის წვრილ ნაწლავებში ცხოვრობს. პარაზიტის მომწიფებული ნაწევრები გარეთ გამოიყოფა და გარემოს აბინძურებს. ღორი კვერცხების ჩაყლაპვით ავადდება და მის კუნთებში იბუდებს ფინები. ადამიანი ავად ხდება თერმულად დაუმუშავებელი ფინოზური ღორის ხორცის ჭამის შედეგად.

დაავადების შემთხვევაში ავადმყოფს აწუხებს გულისრევა, ნერწყვის დენა, ყრუ ტკივილი მუცელში, ხან შებერილობა, ფაღარათი, თავის ტკივილი. თუ პარაზიტი ადამიანის კუჭ-ნაწლავში მოხვდება, დაავადება უფრო საშიშ სახეს იღებს. პირღებინების დროს პარაზიტის კვერცხი ნაწლავებიდან კუჭში გადადის. კუჭის წვენის გავლენით კვერცხის გარსი იშლება, საიდანაც პარაზიტის ჩანასახის აქტიური ფორმა ლორწოვანაში შეაღწევს, სისხლით მთელს ორგანიზმში მოითესება და ფინების სახით ჩაიბუდებს. ასე შეიძლება განვითარდეს სხვადასხვა ორგანოს – თავის ტვინის, გულის, თავის, ზურგის ტვინის, ფილტვების, თვალის, შემაერთებელი ქსოვილის – ცისტიცერკოზი. თავის ტვინის ცისტიცერკოზის დროს ავადმყოფს აქვს ძლიერი თავის ტკივილი, პირღებინება, გულისრევა, ეპილეფსიური გულყრები.

თვალის ცისტიცერკოზის დროს შესაძლებელია მხედველობის დაქვეითება, ზოგჯერ მთლიანი დაკარგვაც კი.

ავადმყოფს გულისრევა უნდა ავარიდოთ, რაც ცისტიცერკოზის განვითარების საწინდარია. მკურნალობა სტაციონარში უნდა ჩატარდეს.

# ქალმა დათვის თავდასხმა ხის ნაჭრით მოიგერია



კანადის პროვინციაა ბრიტანეთის კოლუმბიაში, ტურისტმა ქალმა დათვის თავდასხმა ხის ნაჭრით მოიგერია.

სალამოს ქალი გარიბალდი-ჰაილენდსის ტურისტული ბილიკის ხიდზე მიდიოდა, როდესაც შავ დათვს გადაეყარა. მტაცებელი ცხოველი მას თავს დაესხა. ქალმა გაქცევა სცადა და ხიდიდან გადახტა, მაგრამ დათვი არ მოეშვა, უკან მიჰყვა და თათი ჩასცხო. მაშინ ქალმა იქვე დაგდებულ ხის ნაჭერს დასტაცა ხელი და მისი დახმარებით მოახერხა ცხოველისგან თავის დაცვა. ამ დროს ეს ყოველივე ველოსიპედისტმა შენიშნა და ქალს დათვის გაგდებაში დაეხმარა.

აღნიშნული შემთხვევის შედეგად ქალს სერიოზული დაზიანებები არ მიუღია. პოლიციამ და ბუნების დაცვის სპეციალისტებმა შემთხვევის ადგილი და მისი შემოგარენი დაათვალიერეს, თუმცა, დათვს ვერ მიაგნეს. პარკი ტურისტებისთვის დროებით დაიკეტა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# შალვა მოსიძეს ვარსკვლავს გაუხსნიან

გორის ქალთა გუნდის დამაარსებლის სახელობითი ვარსკვლავი სექტემბრის ბოლოს საზეიმოდ გაიხსნება.



შალვა მოსიძე წლების განმავლობაში გორის მუსიკალური სასწავლებლის პედაგოგად მუშაობდა, სადაც გორის გოგონათა გუნდი დააარსა და მას მოგვიანებით გორის ქალთა გუნდი ეწოდა.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# ტრამპის კარიერა დასრულდა?!



აშშ-ის ექსპრეზიდენტი დონალდ ტრამპი შტატ ჯორჯიის ციხეში გამოცხადდა. სერ დონალდს ბრალი ედება უმძიმეს დანაშაულებებში. ესენია: შეთქმულება ხელისუფლების ძალადობრივი გზით დამხობის მიზნით, წინა საპრეზიდენტო არჩევნების უგულებელყოფა და ა.შ. მას აუღეს თითების ანაბეჭდები და გადაუღეს ფოტოსურათი.

ექსპრეზიდენტს წინასწარი პატიმრობა ემუქრებოდა, ამიტომ მას მოუხდა საპროცედურო გარიგებაზე წასვლა და 200.000 დოლარის გადახდა. მხოლოდ ამით გადაურჩა ის პატიმრობას, თუმცა, ეს დროებითია. მომავალი წლის იანვრიდან მის საქმეს განიხილავს სასამართლო, რომელმაც საბოლოო ვერდიქტი უნდა გამოუტანოს.

ტრამპის გარშემო ამერიკულ მედიაში უზარმაზარი კომპანია დაიწყო. მას გაუხსენეს ყველაფერი, დაწყებული ანტიუკრაინული რიტორიკიდან, დამთავრებული გადასახადების თავიდან არიდებით.

ტრამპზე უამრავი კომპრომატი გამოქვეყნდა. აქედან განსაკუთრებული ყურადღება მიექცა იმას, რომ წარსულში ტრამპი ხუთჯერ გაკოტრდა და მხოლოდ რუსებისაგან მიცემული ფულით დადგა ფეხზე.

თავად ტრამპი ბრალდებებს უარყოფს. ის აცხადებს, რომ არავითარი საიდუმლო კავშირები მოსკოვთან მას არ ჰქონია.

გაზეთმა „ვაშინგტონ პოსტმა“ ტრამპს გაუხსენა მისი ანტიუკრაინული გამოთქმები. პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში, ტრამპი რუსეთ-უკრაინის ომის 24-საათის განმავლობაში დამთავრებას აპირებდა. მექანიზმი მარტივი იყო: ტრამპი უკრაინას ყოველგვარ დახმარებას შეუწყვეტდა, ზელენსკის კი კატეგორიულად მოსთხოვდა, რომ პუტინის პირობებზე ზავისათვის ხელი მოეწერა.

როგორც ცნობილია, აშშ-ში საპრეზიდენტო არჩევნები მომავალ წელსაა დანიშნული. ტრამპს ბრალი ედება უმძიმეს დანაშაულებებში, დაწყებული ხელისუფლების ძალადობრივი გზით დამხობით და დამთავრებული ფინანსური მაქინაციებით.

მომავალი გვიჩვენებს, თუ რამდენად გამართლდება ეს პროგნოზი.

# აშშ-მ შესაძლოა, რამზან კადიროვის დედას სანქციები დაუწესოს

გაიმართა გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომა. მასზე ვრცელი სიტყვით გამოვიდა აშშ-ის წარმომადგენელი ლინდსეი გრიმი. ქალბატონმა გრიმმა აღნიშნა, რომ რუსებს მასობრივად გაჰყავთ რუსეთში უკრაინელი ბავშვები. იქ სპეციალურ ბანაკებში მონებივით ამუშავებენ და ცდილობენ, ტვინი გამოურეცხონ, შემდეგ კი „რუსსკი მირის“ იდეოლოგია შთაუნერგონ.

დასანქცირებულთა სიაში ჩეჩნეთის მარიონეტული პრორუსული ხელისუფლების მეთაურის, რამზან კადიროვის დედა, ქალბატონი აიმანიც მოხვდა. ის რამზან კადიროვის სახელობის ფონდის წევრია. თავად კადიროვი აქტიურად მონაწილეობდა უკრაინის ოკუპირებული ტერიტორიებიდან ბავშვების რუსეთში გაყვანაში. გროზნოს მახლობლად შექმნილია სპეციალური ბანაკი უკრაინელი ბავშვებისათვის, სადაც მათ მონებივით ამუშავებენ და სცემენ კიდეც.



ქალბატონმა გრიმმა ხაზი გაუსვა, რომ მსგავს მეთოდებს მხოლოდ ჰიტლერელები იყენებდნენ.

– აშშ ამას არ შეეგუება! აიმან კადიროვაზეც ისეთივე სანქციები გავრცელდება, როგორც სხვა დამნაშავე რუს ჩინოვნიკებზე, – განაცხადა მან.

# უკრაინული არმიის წინსვლა ბერდიანსკის მიმართულებით გრძელდება

რუსი ოკუპანტები კუპიანსკზე შეტევებს განაგრძობდნენ, მაგრამ ეს წარუმატებელია. რუსი პროპაგანდისტებიც კი იძულებულნი არიან აღიარონ, რომ კუპიანსკზე შეტევებმა მიზანს ვერ მიაღწია.

ასევე წარუმატებლად დამთავრდა რუსების კონტრშეტევები ბახმუტის მიმართულებით, თუმცა, მტერმა გამოიყენა როგორც ავიაცია, ისე არტილერია. რუსების შეტევები მოგერიებულ იქნა ავდეევკასთან, მარინკასთან, უგლედართან და ა.შ.



რაც შეეხება სამხრეთის მიმართულებას, აქ ვითარება უცვლელია. ოკუპანტები განაგრძობენ რობოტინოსათვის საარტილერიო ცეცხლის დაშენას. უკრაინელებიც ცეცხლით პასუხობენ. ოკუპანტების მცდელობა, დაიბრუნონ რობოტინო, უშედეგოა. გრძელდება უკრანული არმიის წინსვლა ბერდიანსკის მიმართულებით. მართალია, რუსეთმა აქ სერიოზულ ძალებს მოუყარა თავი, მაგრამ უკრაინელთა წინსვლის შეჩერება ვერ შესძლო.

გრძელდება ბრძოლები ხერსონსჩინის დნეპრის მარცხენა ნაპირზე. აქ უკრაინულმა არმიამ მტკიცედ მოიკიდა ფეხი. ამაო გამოდგა რუსების ყველა მცდელობა, განდევნონ უკრაინელები დაკავებული პოზიციებიდან.

## დანაკარგები რუსი ოკუპანტების რიგებში

ოკუპანტების რიგებში დანაკარგები იზრდება – ტანკები – 4.390; საბრძოლო ბრონირებული მანქანები – 8.539; არტილერია – 5.379; თვითმფრინავები – 315; განადგურებულია 260.880 ოკუპანტი.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

კალეიდოსკოპი

# სტუდენტმა პირველად ითამაშა ლატარია და გაიმარჯვა

ამერიკის მერილენდის შტატის 22 წლის მკვიდრმა ცხოვრებაში პირველად ითამაშა ლატარია და მსხვილი თანხა მოიგო.

სტუდენტის თქმით, მან მას შემდეგ გადაწყვიტა ლატარიის გათამაშებაში მიეღო მონაწილეობა, როდესაც მეგობარი მას ვირტუალურ დოლში მონაწილეობის შესახებ ესაუბრა. მან აუხსნა, თუ როგორ მუშაობს ეს თამაში და მანაც გადაწყვიტა, თავადაც ეცადა ბედი. სტუდენტის თქმით, ის ფსონს შემთხვევით შერჩეულ ცხენებზე ჩადიოდა.

მისი აღიარებით, დარწმუნებული იყო, რომ დიდ თანხას ვერ მოიგებდა, მაგრამ, როდესაც მან თავისი ლატარიის ბილეთი შეამოწმა ვირტუალური დოლის დასრულების შემდეგ, აღმოაჩინა, რომ მისმა მოგებამ 40 ათასი დოლარი შეადგინა.

ლატარიის გათამაშების გამარჯვებულის თქმით, მოგებული თანხა საკუთარი სწავლის დაფინანსებაში დაეხმარება.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


## განცხადებები

● ოპერაციის გარეშე!!! საგვარეულო მცენარეული ნაკრების სიროფი: 1. „პლანტა“ – ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზური, აუტოიმუნურიც); 2. „პლანტა-გლანდა“ – ჩირქოვანი გლანდები, ადენოიდები, ხვრინვა; 3. „პლანტა+“ – მასტოპათია (კვანძები), ფიბროადენომატოზული საშვილოსნო, მომატებული პროლაქტინი, უნაყოფობა. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577-52-88-41.

● ფიტნეს ყავა!!! გასახდომი ყავა სამმაგი ეფექტით!!! აჩქარებს დაქვეითებულ მეტაბოლიზმს, აწესრიგებს პროლაქტინს! 1 ქილა – 1 თვის სამყოფი, გამდიდრებული ნალექიანი ყავა – 30 ლარი. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577-52-88-41.

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდსასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორმალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) ალმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.


სპორტი

# ბორჯღალოსნები შოტლანდიასთან განადგურდნენ

**შოტლანდია-საქართველო 33:6
ედინბურგი. მარიფილდი**

ბორჯღალოსნებმა 2023 წლის მსოფლიო თასზე გამგზავრებამდე უმნიშვნელოვანესი ტესტ-მატჩი გამართეს. მართალია შოტლანდიასთან პირველი გამარჯვების მოპოვება ვერ მოხერხდა, მაგრამ „მარიფილდზე“ მოგებული პირველი ტაიმი დასაფასებელია. აი, შესვენების შემდეგ შეცვლილი სცენარი კი, ანალიზისთვის კარგი მასალაა.



აქამდე საქართველომ მოსამზადებელ ეტაპზე ორი თამაში გამართა (რუმინეთთან 56:6, აშშ-სთან 22:7), მაგრამ ინტენსივობით, ტემპითა და სირთულით, ვერცერთი მივიდოდა ახლოს ამ შეხვედრასთან. საუკეთესო ფორმაში მყოფმა შოტლანდიამ, ჩვენი გუნდი იმ ტემპს აზიარა, რომელთან აყოლაც საფრანგეთის სტადიონებზე, ავსტრალიასთან, უელსთან და ფიჯისთან მოუწევს.

პირველ ტაიმში მასპინძლები გაშლილი თამაშით ცდილობდნენ უპირატესობის შექმნას, რისთვისაც ჩვენი დაცვა მზად აღმოჩნდა და მეტოქეს ქულის აღების შესაძლებლობა არ მისცა. მაღალ დონეზე იყო დისციპლინა, სწრაფად ხდებოდა ხაზის აწევა, მეტოქეს ვაწუხებდით რაქში და ვასწრებდით სივრცეების ამოვსებას. კარგად ვთამაშობდით დერეფანში და ვკინძავდით ფაზებს. შედეგად კი, შესვენებამდე ორი ჯარიმა გავიტანეთ და 6:0 დავწინაურდით.

შოტლანდია მეორე ტაიმში განსაკუთრებით სახიფათოა, რაც საფრანგეთთან 25:21 მოგებულ შეხვედრაშიც აისახა (22:0 მეორე ტაიმში) და ახლაც დადასტურდა. გრეგ თაუნსენდმა შესვენებისას საჭირო ცვლილებები შეიტანა, შოტლანდიამ ტემპი მაქსიმუმამდე აწია, ფორვარდები კიდევ უფრო გააქტიურდნენ და მასპინძლებმა 5 უპასუხო ლელო გაიტანეს – 33:6.

ეს იყო საქართველოსა და შოტლანდიის მეექვსე დაპირისპირება და ჯერჯერობით ყველა ჯერზე გამარჯვება მეტოქეს დარჩა.

შოტლანდიასთან მატჩში მე-100 კეპი მოიხვეჭა და გახდა მეექვსე ქართველი ცენტურიონი შალვა მამუკაშვილი, რომელსაც გადაჭედილი „მარიფილდი“ ტაშით შეეგება.

თამაში ორმხრივი შეტევებით დაიწყო. შოტლანდიელებმა თავიდანვე სისწრაფეზე გააკეთეს აქცენტი. სტუმრები კი საკუთარი ნახევრიდან ფეხით გადიოდნენ და ჰაერში ცდილობდნენ ბურთის მოპოვებას. ეს მირიან მოდებაძეს რამდენჯერმე გამოუვიდა. ანგარიში მე-12 წუთზე გაიხსნა, როდესაც ლუკა მატკავამ 40 მეტრიდან ჯარიმა გაიტანა და საქართველო სათამაშო უპირატესობას დაეუფლა.

მე-17 წუთზე სალელოვე შეტევა გვქონდა, რომელიც დავით ნინიაშვილმა წამოიწყო, მერაბ შარიქაძემ და ვასილ ლობჟანიძემ გააგრძელეს და მარცხენა ფრთაზე მეტობა შეიქმნა. მოდებაძემ ოვალი ლელოში ფეხით შეაცურა, მაგრამ მცველმა დასწრებაზე კარგად ითამაშა. თამაში რომ განახლდა, ფაზები კიდევ ერთხელ ავკინძეთ და ბურთით დაახლოებით 35 მეტრი ვიარეთ, რასაც ზედ ლელოსთან ჯარიმა მოჰყვა და მატკავამ მორიგი 3 ქულა აიღო.

ტაიმის ბოლოს შეცდომებს მოვუხშირეთ და შოტლანდიამაც რამდენჯერმე სახიფათოდ შემოგვიტია. 36-ე წუთზე კაილ სტეინს ლელოც უნდა გაეტანა, მაგრამ ვიდეო-რეფერიმ დააფიქსირა, რომ ნინიაშვილთან და მოდებაძესთან კონტაქტის შემდეგ ბურთზე კონტროლი დაკარგა. მერე ბექა გიგაშვილი ჩავიდა რაქში კარგად და პირველ ტაიმში მრისხანე შოტლანდია უქულოდ დავტოვეთ – 6:0.

მეორე ტაიმში შოტლანდიამ სისწრაფეები, ფინ რასელმა კი ჯადოქრობა სრულად აამოქმედა და უპირატესობასაც უმალ დაეუფლა. ამაში ხელი ჩვენც შევუწყეთ, რადგან ზედიზედ 4 დერეფანი დავთმეთ და ფაქტობრივად უბურთოდ დავრჩით. შოტლანდიელთა უსწრაფესი შეტევების მოგერიებისას ხშირად ვჯარიმდებოდით და ფაქტობრივად უბურთოდ დავრჩით.

მიუხედავად მარცხისა, ეს იყო უდიდესი გამოცდილება. ავსტრალიასთან თამაშამდე 2 კვირაა და მეორე ტაიმის ანალიზით, მწვრთნელებს შესაძლებლოობა ექნებათ, მინიმუმამდე დაიყვანონ ის შეცდომები, რამაც 5 გაშვებულ ლელომდე მიგვიყვანა.

თამაში მასპინძელთა გააფთრებული შეტევით კი განახლდა, მაგრამ რომ არა ჯარიმის უპირატესობა, აკა ტაბუცაძე კონტრშეტევაზე თავის 30-ე ლელოს გაიტანდა. მერე შოტლანდიამ მოლით სცადა წინსვლა, მაგრამ ამ კომპონენტში ამ ეპიზოდშიც და მთელ მატჩშიც, საქართველო თავს კარგად იცავდა. სამაგიეროდ, შოტლანდიას ყავდა რასელი, რომელმაც ბურთი ფეხით ფრთაზე გამოზომილად გადაკიდა და დუან ფან დერ მერვემ პირველი ლელო გაიტანა.

მასპინძლებმა თამაშის ტემპი კიდევ უფრო ასწიეს და თავგანწირული დაცვის მიუხედავად, რორი დარჯმა, ჯეკ დემფსიმ და კაილ სტეინმა ლელოები გაიტანეს, ფინ რასელმა და ბენ ჰილმა კი ორ-ორი გარდასახეს. 72-ე წუთზე საქართველოს საპასუხო ლელოს გატანის კარგი შესაძლებლობა ჰქონდა, როდესაც ფორვარდების რამდენიმე დარტყმის შემდეგ ბურთი ხაზზე გავიდა, თუმცა, ამჯერად შოტლანდიელმა მცველებმა ითამაშეს მოწოდების სიმაღლეზე, 77-ე წუთზე კი ფან დერ მერვემ თავისი მეორე ლელო გაიტანა და საბოლოო შედეგი დააფიქსირა – 33:6.

დღეს მთავარი მწვრთნელი ლევან მაისაშვილი იმ 33 მორაგბეს დაასახელებს, რომლებიც საფრანგეთში გაემგზავრებიან და 9 სექტემბერს ავსტრალიასთან სათამაშოდ მოემზადებიან.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# ქალი სუროგატი ცოლობით გამდიდრდა



ბრაზილიაში წარმატებით სარგებლობენ სუროგატი ცოლები, რომლებთანაც, ფულის სანაცვლოდ, შესაძლებელია, მამაკაცმა ფეხბურთს უყუროს ან ისადილოს.

24 წლის ბრაზილიელი მოდელი ბაბი პალომასი საკუთარ მომსახურებაში 30 ათას დოლარს ითხოვს.

– მე ვაკეთებ იმას, რასაც ჩვეულებრივ ცოლები თავს არიდებენ, მაგალითად, მამაკაცთან ერთად ტელევიზორში ვუყურებ ფეხბურთის მატჩს და არ ვწუწუნებ, – განმარტა მოდელმა.

ქალის თქმით, ის გათხოვებასა და ოჯახის შექმნაზე ოცნებობს, ხოლო სანამ ეს მოხდება, ის თავის ფანებთან ვარჯიშობს და რაც მნიშვნელოვანია, ეს საქმიანობა მას გამდიდრებაში დაეხმარა.

პალომასი არასოდეს მიდის თავისი კლიენტების სახლში, მაგრამ მათთან დროს ვირტუალურ სივრცეში ატარებს. ისინი ერთად უყურებენ ტელევიზორს ან სადილობენ.

მოდელის მტკიცებით, მისი მამაკაცის გვერდით ყოფნა კლიენტისთვის მეტად მნიშვნელოვანია, ვინაიდან ისინი მასთან გულახდილები ხდებიან და საკუთარ ცხოვრებაზე მოუთხრობენ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# საქართველომ სადებიუტო მუნდიალი მოგებით დაიწყო

**კაბო ვერდე-საქართველო 60:85**
(11:20; 11:28; 15:22; 23:15)

საქართველოს კალათბურთელთა ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატის სადებიუტო მატჩში ისტორიული გამარჯვება მოიპოვა. ილიას ზუროსის, ანატოლი ბოისას და მანუჩარ მარკოიშვილის გაწვრთნილმა ჩვენმა გუნდმა ფ ჯგუფის გასხნით მატჩში კაბო ვერდეს ნაკრები დამაჯერებლად დაამარცხა – 60:85.

საქართველოს ნაკრებმა გამართული კალათბურთი ითამაშა. დაცვა იყო ის დასაყრდენი, რამაც ჩვენს ნაკრებს დამაჯერებელი გამარჯვება მოუტანა. მეტოქემ პირველ ნახევარში მხოლოდ 22 ქულა ჩააგდო, საქართველომ კი – 48 და მატჩის ბედიც უკვე გადაწყვეტილი იყო.

არადა, თამაში ისე დაიწყო, რომ ქართველებმა გვარიანად ინერვიულეს. ჩვენი გუნდის წევრებს დაძაბულობა საშუალებას არ აძლევდა, იოლი ბურთები ჩაეგდოთ. ხელსაყრელი სიტუაციიდან არაერთი აცილებული ბურთის შემდეგ კაბოვერდელები 8:2 დაწინაურდნენ, რასაც ილიას ზუროსის წუთშესვენება მოჰყვა.

ბერძენმა სპეციალისტმა მოედანზე გიორგი ცინცაძეს უხმო, რომელიც ნაკრებში ყველაზე გამოცდილია და ბურთის მიღებისთანავე სამქულიანი ჩააგდო. „ბუმ" მალევე მეორე სამქულიანიც მიყოლა, რითაც ჩვენი თამაში საბოლოოდ „გახსნა". ჩვენი გუნდის წევრებს თითქოს ბორკილები მოეხსნათ: დუდა სანაძემ, თად მაკფადენმა და სანდრო მამუკელაშვილმა სამქულიანების ანგარიში გახსნეს, თორნიკე შენგელია, გიორგი შერმადინი და მის ნაცვლად მოედანზე გამოსული გოგა ბითაძე ფარქვეშ გამაგრდნენ. კაბოვერდელთა ნაქები ედი ტავარეში სრულიად შებოჭილი იყო. აფრიკელთა წარმომადგნლებს არც სამქულიანები წაუვიდათ და პირველ ნახევარში მოპოვებულ 28-ქულიან ლიდერობას ქართველებმა მესამეში 5 ქულაც შემატეს.

70:37 ბოლო პერიოდის დაწყებამდე – ეს გამარჯვებას ნიშნავდა. ჩვენი ნაკრებისთვის მატჩის შედეგზე ზრუნვას აზრი დაეკარგა და მსოფლიო კალათბურთის უმაღლესი საკალათბურთო არენა ტურნირზე საადაპტაციოდ, ფასდაუდებელი გამოცდილების მისაღებად გამოიყენეს.

ბოლო პერიოდი კაბოვერდელებმა მოიგეს, თუმცა, ისე ვერა, რომ საკუთარი დამარცხებისთვის ღირსეული სახე მიეცათ. ილიას ზუროსმა მოედანზე სათადარიგოებს უხმო. ლუკა ლიკლიკაძე, მიხეილ ბერიშვილი და გიორგი ტურძილაძე აქტიურად ჩაერთვნენ თამაშში და მსოფლიო ჩემპიონატზე ასპარეზობის ძვირფასი გამოცდილება შეიძინეს. საბოლოოდ, საქართველომ 85:60 გაიმარჯვა და ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტ სლოვენიასთან მატჩი ელის.

ჩვენს ნაკრებში 16 ქულით თორნიკე შენგელია ლიდერობდა. 15 ქულა ჩააგდო გოგა ბითაძემ, რომელმაც აქტივში 11 მოხსნაც მიითვალა და მსოფლიო ჩემპიონატზე პირველი ქართული ორმაგი დუბლი შეასრულა. მნიშვნელოვანი 12 ქულა მოუტანა ნაკრებს დუდა სანაძემ. ორმაგ დუბლამდე მცირედი დააკლდა სანდრო მამუკელაშვილს – 10 ქულა, 8 მოხსნა.



**ილიას ზუროსი:**

– ქართული კალათბურთისთვის ეს ისტორიული მომენტია. მსოფლიოს ჩემპიონატზე პირველად ვითამაშეთ და მოვიგეთ. ძალიან ბედნიერები ვართ, მაგრამ ყველაფერი გრძელდება. სლოვენიასთან რთული თამაში გველის და აქედანვე უნდა დავიწყოთ მზადება, ფოკუსი იმ შეხვედრაზე უნდა გვქონდეს.

ჯერ გუნდზე ვისაუბრებ: ზოგიერთმა მოთამაშემ ისე იასპარეზა, რომ ნამდვილად არ ველოდით. რაც შეეხება გოგას, მასზე ვიტყვი, ყველას აჩვენა, თუ რა შეუძლია. მას ორ პოზიციაზე შეუძლია თამაში, უმაღლესი დონის კალათბურთელია, რომელსაც დიდი გონებრივი შესაძლებლობები აქვს. სამწუხაროდ, ევროპის ჩემპიონატზე გოგა და თოკო არ გვყავდნენ. ამ გუნდის მჯერა, ყველა მოთამაშე ყველა მატჩში კარგად ვერ ითამაშებს, მაგრამ მათ სხვებისთვის მუხტის მიცემა შეუძლიათ.

სლოვენიასთან თამაში ჩვენთვის დიდი გამოწვევაა, ძალიან ძლიერ ნაკრებს ვეთამაშებით, ლუკა დონჩიჩი დიდი მოთამაშეა, ნბა-ში ერთ-ერთი საუკეთესოა. ვითამაშებთ ბოლომდე და ვეცდებით მაქსიმუმის გაკეთებას.

**გოგა ბითაძე:**

– ეს უდიდესი გამარჯვებაა, პირველი მოგება მსოფლიოს ჩემპიონატზე. ბიჭებმა შესანიშნავად ითამაშეს. ყველა დავალება შევასრულეთ, რაც მწვრთნელმა მატჩამდე მოგვცა. დამსახურებული გამარჯვება ვიზეიმეთ. ედი ტავარეში დიდი კალათბურთელია. ვიცით, თუ რამხელა შესაძლებლობები აქვს მას. ის ევროლიგის ერთ-ერთი საუკეთესო ცენტრია. ჩვენმა მცველებმა დიდი სამუშაო გასწიეს ედის გასაჩერებლად. სწორ დროს სწორ ადგილას ვიყავით და გამარჯვებაც ჩვენ დაგვრჩა.

გეტყვით, რომ ჩვენს ჯგუფში სლოვენიამ 100:85 მოუგო ვენესუელას.

**მუნდიალზე კი, პირველი ტურის თამაშები ასე დასრულდა:**

**ა ჯგუფი:** ანგოლა-იტალია 67:81; დომინიკანები-ფილიპინები 87:81;

**ბ ჯგუფი:** ს.სუდანი-პუერტო რიკო 96:101; სერბეთი-ჩინეთი 105:63;

**ც ჯგუფი:** იორდანია-საბერძნეთი 71:92; აშშ-ახალი ზელანდია 99:72;

**დ ჯგუფი:** მექსიკა-ჩერნოგორია 71:91; ეგვიპტე-ლიეტუვა 67:93;

**ე ჯგუფი:** ფინეთი-ავსტრალია 72:98; გერმანია-იაპონია 81:63;

**ჯ ჯგუფი:** ირანი-ბრაზილია 59:100; ესპანეთი-კოტ დივუარი 94:64;

**ჰ ჯგუფი:** ლატვია-ლიბანი 109:70; კანადა-საფრანგეთი 95:65;

მსოფლიოს ჩემპიონატზე პირველ ტურში ყველაზე მეტი ქულა ლატვიამ ჩააგდო – 109, ხოლო ყველაზე ცოტა ირანმა – 59. კაბოვერდელებმა ირანელებს მხოლოდ ქულით აჯობეს. ასე რომ, საქართველოს ნაკრებმა ტურში ერთ-ერთი საუკეთესო დაცვა ითამაშა, მიუხედავად იმისა, რომ მეტოქე აშკარად სუსტი იყო.

ფარიდან ბურთი ყველაზე მეტჯერ ლიეტუვამ მოხსნა – 53, საქართველოს ნაკრების შედეგი (48) მესამე იყო ესპანეთთან ერთად. ბოლო ადგილზე ვენესუელაა (23), რომელიც საქართველოს ნაკრების ჯგუფშია.

ყველაზე მეტი სამქულიანი ჩააგდო ლატვიამ – 18, საქართველომ – 7. ყველაზე ცოტა კაბო ვერდემ 3 ჩააგდო. არადა, 26 ისროლა (11.5%).

ყველაზე მეტი ასისტი მოდის ლატვიაზე – 34, საქართველო (23) მე-7 ადგილზეა. ყველაზე ცუდი ამ კომპონენტში ეგვიპტე იყო – 12.

7 დაფარება – ეს ამერიკელთა შედეგია, რომელიც ტურში საუკეთესო აღმოჩნდა. საქართველოს ნაკრებს მხოლოდ 1 დაფარება ჰქონდა – ყველაზე ცუდი შედეგი 7 სხვა გუნდთან ერთად.

სერბეთი 14 ჩაჭრით პირველ ადგილზეა, 9 ჩაჭრით საქართველო მე-10 პოზიციაზეა, ლიეტუვას ბოლო შედეგი ჰქონდა – 2 ჩაჭრა.

საქართველოს ნაკრებს 22 დაკარგვა ჰქონდა, რაც, სამწუხაროდ, ყველაზე ცუდი შედეგია ტურში. მხოლოდ 5-ჯერ დაკარგა ბურთი ლატვიამ.

4 პუერტო-რიკოელს ჰქონდა ორმაგი დუბლი, მაშინ, როცა ტურში მათ გარდა მხოლოდ 6 (6 ქვეყნიდან) კალათბურთელს ჰქონდა ეს მიღწევა, მათ შორის გოგა ბითაძეს.

## შედეგები

**26 აგვისტო**

**ფეხბურთი.**

### ინგლისი. პრემიერლიგა

| | |
|---|---|
| ბორნმუთი-ტოტენჰემი | 0:2 |
| არსენალი-ფულემი | 2:2 |
| ბრენტფორდი-კრ.პალასი | 1:1 |
| მანჩესტერი-ნოტინგემი | 3:2 |
| ევერტონი-ვულვზი | 0:1 |
| ბრაიტონი-ვესტ ჰემი | 1:3 |

### ინგლისი. ჩემპიონლიგა

| | |
|---|---|
| ბირმინგემი-პლიმუთი | 2:1 |
| ვესტ ბრომვიჩი-მიდლსბრო | 4:2 |
| იფსვიჩი-ლიდსი | 3:4 |
| კარდიფი-უენსდი | 2:1 |
| ქოვენთრი-სანდერლენდი | 0:0 |
| მილუოლი-სტოკი | 1:0 |
| პრესტონი-სუონსი | 2:1 |
| როტერჰემი-ლესტერი | 1:2 |
| საუთჰემპტონი-ქპრ | 2:1 |
| ჰადერსფილდი-ნორვიჩი | 0:4 |

### გერმანია. ბუნდესლიგა

| | |
|---|---|
| ბოხუმი-დორტმუნდი | 1:1 |
| დარმშტადი-უნიონი | 1:4 |
| კიოლნი-ვოლფსბურგი | 1:2 |
| ფრაიბურგი-ვერდერი | 1:0 |
| ჰაიდენჰაიმი-ჰოფენჰაიმი | 2:3 |
| გლადბახი-ლევერკუზენი | 0:3 |

### გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

| | |
|---|---|
| ჰანზა-ოსნაბრიუკი | 2:1 |
| ჰერტა-ფიურტი | 5:0 |
| ელვერბერსგი-ფორტუნა | 0:5 |
| ჰანოვერი-ჰამბურგი | 0:1 |

### ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

| | |
|---|---|
| კადისი-ალმერია | 1:1 |
| გრანადა-მალიორკა | 3:2 |
| სევილია-ხირონა | 1:2 |

### ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

| | |
|---|---|
| ბურგოსი-ოვიედო | 1:0 |
| ტენერიფე-სარაგოსა | 0:1 |
| ვალიადოლიდი-ალკორკონი | 0:2 |
| ელჩე-ვილიარეალი ბ | 1:0 |

### იტალია. სერია ა

| | |
|---|---|
| მონცა-ემპოლი | 2:0 |
| ფროზინონე-ატალანტა | 2:1 |
| ვერონა-რომა | 2:1 |
| მილანი-ტორინო | 4:1 |

### იტალია. სერია ბ

| | |
|---|---|
| ვენეცია-კოზენცა | 1:1 |
| კომო-რეჯანა | 2:2 |
| კრემონეზე-ბარი | 0:1 |
| მოდენა-ასკოლი | 1:0 |
| პარმა-ჩიტადელა | 2:0 |
| ფერალპისალო-ზიუდტიროლი | 0:2 |

### საფრანგეთი. ლიგა 1

| | |
|---|---|
| მარსელი-ბრესტი | 2:0 |
| პსჟ-ლანსია | 3:1 |

### საფრანგეთი. ლიგა 2

| | |
|---|---|
| ბორდო-ამიენი | 2:0 |
| გენგამი-პო | 0:0 |
| დიუნკერკი-ანჟე | 0:1 |
| კაენი-აიაჩო | 3:0 |
| კევიი-ლავალი | 0:0 |
| ოსერი-გრენობლი | 0:0 |
| როდეზ-ვალანსიენი | 0:1 |
| ბასტია-ტრუა | 3:2 |
| პარიზი-კონკარნო | 3:0 |

### პორტუგალია. პრიმეირა ლიგა

| | |
|---|---|
| არიუკა-პორტინონენშე | 1:1 |
| ფარენსე-შავიში | 5:0 |
| ჟილ ვისენტე-ბენფიკა | 2:3 |

### ნიდერლანდები. ერედივიზიონი

| | |
|---|---|
| ნაიმეგენი-ვალვაიკი | 3:0 |
| ექსელსიორი-ფორტუნა | 2:2 |

### ბელგია. ა დივიზიონი

| | |
|---|---|
| ვესტერლო-მეხელენი | 2:3 |
| ეუპენი-ლეუვენი | 3:1 |
| კორტრაიკი-სტანდარდი | 1:1 |

### თურქეთი. სუპერლიგა

| | |
|---|---|
| ქაშიმფაშა-პენდიკი | 1:1 |
| ტრაბზონი-რიზე | 2:3 |
| სივასი-ანტალია | 1:1 |

### ავსტრია. ბუნდესლიგა

| | |
|---|---|
| ვოლფსბერგერი-ზალცბურგი | 1:2 |
| შტურმი-ლინცი | 4:1 |
| ლუშტენაუ-ალტახი | 0:3 |

### შოტლანდია. პრემიერლიგა

| | |
|---|---|
| როსი-რეინჯერსი | 0:2 |
| მოზერველი-კილმანროკი | 2:1 |
| სელტიკი-სტ.ჯონსონი | 0:0 |
| ჰიბერნიანი-ლივინგსტონი | 2:3 |

### დანია. სუპერლიგა

| | |
|---|---|
| კოპენჰაგენი-სოლკებორგი | 1:3 |

### ნორვეგია. ელიტსერია

| | |
|---|---|
| სარპსბორგი-ტრომსო | 4:0 |

### კალათბურთი
### მსოფლიო ჩემპიონატი

| | |
|---|---|
| ანგოლა-იტალია | 67:81 |
| დომინიკანები-ფილიპინები | 87:81 |
| ს.სუდანი-პუერტო რიკო | 96:101 |
| სერბეთი-ჩინეთი | 105:63 |
| იორდანია-საბერძნეთი | 71:92 |
| აშშ-ახალი ზელანდია | 99:72 |
| მექსიკა-ჩერნოგორია | 71:91 |
| ეგვიპტე-ლიეტუვა | 67:93 |
| ფინეთი-ავსტრალია | 72:98 |
| გერმანია-იაპონია | 81:63 |
| ირანი-ბრაზილია | 59:100 |
| ესპანეთი-კოტ დივუარი | 94:64 |
| ლატვია-ლიბანი | 109:70 |
| კანადა-საფრანგეთი | 95:65 |
| კაბო ვერდე-საქართველო | 60:85 |
| სლოვენია-ვენესუელა | 100:85 |

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება**
**ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

# ბადრი ყაველაშვილი მსოფლიოს ვიცეჩემპიონია

გერმანიის ქალაქ დიუსბურგში მიმდინარე კანოე-კაიაკიში მსოფლიოს ჩემპიონატზე, სადაც 2024 წლის პარიზის ოლიმპიური თამაშების საგზურებიც თამაშდება, ბადრი ყაველაშვილმა ვერცხლის მედალი მოიპოვა.



27 წლის ქართველმა ნიჩბოსანმა ერთადგილიანი კაიაკით (ბაიადარა) 200 მეტრი დისტანცია ფინალურ გაცურვაში 35.364 წამში დაძლია და მხოლოდ ლიეტუველ არტურას სეიას ჩამორჩა (35.243).

დუისბურგშივე საქართველოდან სტარტზე კიდევ სამი წარმომადგენელი დადგა: ზაზა ნადირაძემ კანოეთი 200-მეტრიან დისტანციაზე ნახევარფინალურ გაცურვაში პირველი ადგილი კი დაიკავა, მაგრამ ფინალში 39.552 წამით მე-4 ადგილს დასჯერდა; მარიამ ქერდიკაშვილმა კაიაკით 200-მეტრიან დისტანციაზე ნახევარფინალში მე-6 შედეგი აჩვენა და ბ ფინალში გადავიდა; გია გაბედავამ ნახევარფინალურ გაცურვაში 500-მეტრიან დისტანციაზე მე-9 ადგილი დაიკავა და ასპარეზობა დაასრულა.

# ზურაბ საკანდელიძე დიდების დარბაზში შეიყვანეს

მანილაში ფიბას მსოფლიო კონგრესი გაიმართა, რომელსაც საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი, ვიქტორ სანიკიძე დაესწრო.

ფიბას გადაწყვეტილებით, 2023 წლის ივნისში ცნობილი იყო, რომ ზურაბ საკანდელიძე დიდების დარბაზის პირველი ქართველი წევრი გახდებოდა. მანილაში კონგრესთან ერთად ფიბას დიდების დარბაზში ახალი წევრების ოფიციალურად წარდგენის ცერემონიაც გაიმართა. დამსწრე საზოგადოებას სიტყვით ვიქტორ სანიკიძემ და ზურაბ საკანდელიძის შვილიშვილმა გიორგი საკანდელიძემ მიმართეს, რომელმაც ფიბას სპეციალური ჯილდოც ჩაიბარა.

ზურაბ საკანდელიძესთან ერთად 2023 წელს დიდების დარბაზს 11 კალათბურთელი შეუერთდა: იაო მინგი (ჩინეთი), იუკო ოგა (იაპონია), კატრინა მაკკლაინი (აშშ), ამაია ვალდემორო (ესპანეთი), ვლამირ მარკესი (ბრაზილია), ანჯელო მონტეირო დოს დანტოს ვიქტორიანი (ანგოლა), სონი ჰენდრავანი (ინდონესია) კარლოს ლოიზაგა (ფილიპინები).

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. პატარა სასაუზმე გერმანიაში; 2. ქართველი კომპოზიტორი; 3. ჯუზეპე ვერდის ოპერა; 4. ქალაქი, ზამთრის კურორტი ავსტრიაში; 8. მიწისქვეშა საკომუნიკაციო შემკრები ნაგებობა; 9. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი მამაკაცი; 11. ძვირფასი მაჯის საათების მწარმოებელი შვეიცარიული ფირმა; 12. დედალი ჯიხვი; 14. ირლანდიური ცეკვა; 16. ქართველ მამაკაცთა ძველებური თავსაბურველი; 17. რაიონული ცენტრი გურიაში; 19. ქერისა და ჭვავისგან მომზადებული უალკოჰოლო-გამაგრილებელი სასმელი; 21. ნავსადგური უკრაინაში.

**თარაზულად:** 5. მეცნიერება ორატორული ხელოვნების შესახებ; 6. კუჭქვეშა ჯირკვლის ჰორმონი; 7. ესპანელი ფერმწერი; 10. კომპანია „ამაზონის" მფლობელი; 13. ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი; 15. გულუბრყვილო, მიამიტი ქალების როლების შემსრულებელი მსახიობი თეატრში; 18. კოლონიებში გამდიდრებულ ადამიანთა მეტსახელი ბრიტანეთში; 20. იაპონური ავტომობილი; 22. მევენახეობა-მეღვინეობის რაიონი საფრანგეთის აღმოსავლეთში; 23. რაიონული ცენტრი მესხეთში; 24. სახელმწიფო პირინეის ნახევარკუნძულზე.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ახტალა; 2. სოჭი; 3. მარიონეტი; 4. დაშნა; 5. გამბიტი; 8. პლეადა; 9. სატურაცია; 12. პუსანი; 14. დემონი; 16. იტამი.

**თარაზულად:** 1. ანტრესოლი; 6. მატარელა; 7. ტყაპუჭი; 9. საცივი; 10. რალი; 11. პაშტეტი; 13. მადლი; 15. ბუგატი; 17. ცინიზმი; 18. ვარძია; 19. ავენიუ; 20. პირანია.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. შაჰი; 2. ისე; 3. კარაკასი; 4. პა; 5. შიკოლონე; 6. თაჯა; 7. ბიუჯეტი; 10. კოლო; 11. გარპაგონი; 12. კაზემირო; 13. თული; 16. ნარიტა; 18. მიტარბი; 19. სხალთა; 21. დასტა; 24. ნოსტე.

**თარაზულად:** 1. შნიცელი; 3. კანაპე; 8. დივანი; 9. პუკი; 14. ელესა; 15. ბუგელი; 17. ზღვა; 20. სლაიდი; 22. ნაიკი; 23. ხამონი; 25. მზე; 26. იკეა; 27. ბარი; 28. სიგნატურა.

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

28 აგვისტო


**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 2.6299 | ევრო — 2.8400 |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.3131 | 100 რუსული რუბლი — 2.7729 |

**ამინდის პროგნოზი 28 აგვისტოსთვის**




ეროვნული ბიბლიოთეკა

## სალაჰი ლივერპულის დატოვებას არ აპირებს

ლივერპულის ეგვიპტელი ფორვარდი მოჰამედ სალაჰი გუნდის დატოვებას არ აპირებს და ხმები იმის შესახებ, რომ მან შესაძლოა, კარიერა საუდის არაბეთში გააგრძელოს, სიმართლეს არ შეესაბამება.

სალაჰის თქმით, ის ლივერპულში თავს ბედნიერად გრძნობს და სხვა გუნდში გადასვლის სურვილი არ აქვს. იურგენ კლოპმა ასევე ისაუბრა სალაჰზე და დაადასტურა, რომ ეგვიპტელი ლივერპულში დარჩება.

## მესიმ მლს-ში პირველი გოლი გაიტანა



ლიონელ მესიმ მლს-ში პირველი შეხვედრა ჩაატარა და მატჩი გატანილი გოლით აღნიშნა. ეს მან ნიუ იორკის წინააღმდეგ გააკეთა. აქამდე მესი თასის მატჩებში იღებდა მონაწილეობას და მისი წყალობით, მაიამიმ ტიტულიც მოიგო.

მესიმ ნიუ იორკის წინააღმდეგ თამაში სათადარიგოთა სკამზე დაიწყო, რადგან მცირე ტრავმა აწუხებდა და მოედანზე ის მე-60 წუთზე შევიდა. აღსანიშნავია, რომ მესის მისვლის შემდეგ მაიამის ჯერ თამაში არ წაუგია.

## რაფინია: „ბარსელონას დიდი ამბიციები აქვს“

ბარსელონას ბრაზილიელმა შემტევმა რაფინიამ თავისი გუნდის გეგმებზე ისაუბრა და თქვა, რომ მათ დიდი გეგმები აქვთ და ბარსელონასთვის მეორე ადგილი ნებისმიერ ტურნირში ცუდი შედეგი იქნება:

– შარშან კარგი სეზონი გვქონდა და ესპანეთის ჩემპიონატი მოვიგეთ, თუმცა, წელს ჩვენგან მეტს ელიან და მოლოდინი უნდა გავამართლოთ. მჯერა, რომ ყველა ტურნირის მოგება შეგვიძლია და ეს რეალურია.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა




## ნინი ბადურაშვილმა და „რეზო და ბავშვებმა“ დუეტი ჩაწერეს

მომღერალმა ნინი ბადურაშვილმა ჯგუფთან „რეზო და ბავშვები“ დუეტი ჩაწერა.

„ბედნიერების დრო“ – ასე ჰქვია სიმღერას, რომელიც საქართველოში შექმნილი 5 კოლაბორაციიდან პირველია.

**ზაზა შენგელია:**

– „ბრავო რექორდსისა“ და „კოკა კოლას“ უმსხვილესი მუსიკალური პლატფორმის პირველი კოლაბორაციის შედეგი: პოპულარული ქართული ბენდის „რეზო და ბავშვების“ და ნინი ბადურაშვილის მიერ „ბრავო რექორდსში“ ჩაწერილი სიმღერა „ბედნიერების დრო“, რომელიც საქართველოში შექმნილი 5 კოლაბორაციიდან არის პირველი ქართული სიმღერა. დანარჩენი 4 კომპოზიცია აღნიშნულ პლატფორმაზე უახლოეს დღეებში განთავსდება.

შეგახსენებთ, რომ ეს არის ისტორიაში პირველი შემთხვევა, როცა ქართველი მუსიკოსები „კოკა-კოლასთან“ თანამშრომლობით უერთდებიან მუსიკალურ პლატფორმას.

პროექტში მონაწილეობენ როგორც უკვე ცნობილი და პოპულარული ქართველი მუსიკოსები, ასევე დამწყები ქართული ბენდები და სხვადასხვა ჟანრში მომუშავე ცალკეული მუსიკოს-შემსრულებლები.

მუსიკოსებმა „ბრავო რექორდსში“ ჩაწერები და „კოკა-კოლას“ ძველი ქარხნის ტერიტორიაზე კლიპების გადაღების პროცესი უკვე დაასრულეს. ამ ეტაპზე ვიდეოკლიპების მონტაჟის ბოლო სამუშაოები მიმდინარეობს.

ქართველი მუსიკოსების ვიდეოკლიპები ინტერნეტში უახლოეს დღეებში განთავსდება, რომლის საშუალებითაც ისინი ამ უნიკალური და უზარმაზარი მუსიკალური ჰაბის ნაწილი გახდებიან. ქართველი შემსრულებლებისთვის ეს იქნება შესანიშნავი შანსი, გავიდნენ ახალ აუდიტორიაზე, გააცნონ თავიანთი მუსიკა მსმენელებს მთელ მსოფლიოში, ითანამშრომლონ სხვადასხვა ქვეყნების ახალგაზრდა, ნიჭიერ მუსიკოსებთან. ეს კი, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ქართული მუსიკალური ინდუსტრიის განვითარებას.

გლობალური მუსიკალური პლატფორმა, რომელიც 2007 წელს ბრაზილიაში დაარსდა, არის პროექტი, რომლის მიზანიცაა განსხვავებული მუსიკალური სტილების შერწყმა. პროექტი მხარს უჭერს ნიჭიერი მუსიკოსების განვითარებას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში და ამასთანავე აკავშირებს მათ ახალ მსმენელებთან.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## იუმორი

ოპერაციის წინ ქირურგი ავადმყოფს ეკითხება:

– როგორი ნარკოზი გინდათ რომ გაგიკეთოთ, ძვირადღირებული თუ იაფი?

– ყველაზე იაფი!

– კარგი... იავნანა, ვარდოვნანა...

●●●

ერთი მოხუცი ქალი მეორეს ეუბნება:

– გახსოვს, როგორი ახალგაზრდები, ლამაზები ვიყავით, განსაკუთრებით მე... ახლა კი დავბერდით, საშინლები გავხდით... განსაკუთრებით შენ!

●●●

ბიჭი გოგოს ეკითხება:

– გოგონი, ჰოროსკოპით ვინ ხარ?

– თევზები. და თქვენ?

– მე კი მეთევზე.

●●●

ერთი თანამშრომელი მეორეს ეუბნება:

– ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ თითქოს ვილაცა ჩემი არყოფნის დროს ჩემი კომპიუტერით სარგებლობს...

– და ის რა ქაღალდი გაქვს მიკრული შენი კომპიუტერის მონიტორზე?

– კომპიუტერის პაროლია.

●●●

დირექტორს ახალი მდივანის აყვანა სურს და გასაუბრებაზე გოგონას ეკითხება:

– ეწევით?

– დიახ, მხოლოდ სექსის შემდეგ.

– და თქვენ ადრინდელ სამუშაოზე რამდენად იყავით დატვირთული?

– დღეში ორ კოლოფს ვეწეოდი

●●●

დილით მეეზოვე ქუჩას გვის. ამ დროს სადარბაზოდან ბიჭები გამოდიან და ეკითხებიან:

– ქალი გინდა?

– მინდა.

– პირველ სადარბაზოში, მეორე სართულზე კარი მარცხნივ, შეხვალ და ყველაფერი გამზადებულია.

მეეზოვემ დააგდო ცოცხი, მივიდა მითითებულ კართან და შევიდა ბინაში. ხედავს, საწოლში ქალი წევს. ბევრი არ უფიქრია, გაიხადა, ქალს მიუწვა, თავისი საქმე გააკეთა, ჩაიცვა და წამოსვლა დააპირა, რომ ქალი ეკითხება:

– და ფული?

– რა ფული, ბიჭებმა დამპატიჟეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## ბესიკ ხარანაულის შემოქმედებაზე სპექტაკლი დაიდგა



„ყველაფერი ნამდვილად იყო!“ – ასე ჰქვია სპექტაკლს, რომლის პრემიერაც საფრანგეთში, ლევილის ქართულ მამულში გამართულ ფესტივალზე შედგა.

სპექტაკლის რეჟისორი ვანო ხუციშვილია, რომელმაც წარმოდგენა კინომსახიობთა თეატრის ბაზაზე განახორციელა და პრემიერა ლევილის ქართულ ფესტივალზე საფრანგეთში მოაწყო.

თუმანიშვილის კინომსახიობთა თეატრმა ეს სპექტაკლი სპეციალურად ამ ფესტივალისთვის შექმნა და მასში მხოლოდ ერთი მსახიობი – მზია არაბული მონაწილეობს. სპექტაკლი მუსიკალურად კომპოზიტორმა გოგი ძოძუაშვილმა გააფორმა, გრიმი მადონა ჭანტურიას ეკუთვნის, კოსტიუმის მხატვარი ზურა გოგორიკიძეა, ტექნიკური რეჟისორი კი – სოფიო ორჯონიკიძე.

**ზურა გოგორიკიძე:**

– ერთი წარმატება აგვისტოს თვეში უკვე მოუტანა თეატრს გასტროლმა ედინბურგის საერთაშორისო ფესტივალზე, საინტერესო რეცენზიებითა და გამოხმაურებით. ჰოდა, იმედს ვიტოვებ, რომ ეს სპექტაკლი, რომელიც სპეციალურად ლევილის ფესტივალისთვის დაიდგა და პრემიერა გაიმართა საფრანგეთში, საქართველოში დაბრუნების შემდეგ გაახარებს მაყურებელს.

სანამ ადამიანი იარსებებს, თეატრი მუდამ საჭიროა.

## საქართველო მაღალი მოდის კვირეულს უმასპინძლებს




30 სექტემბრიდან 1 ოქტომბრის ჩათვლით საქართველო მაღალი მოდის კვირეულს უმასპინძლებს. ჩვენებები „შერატონ გრანდ თბილისი მეტეხი პალასში“ გაიმართება და მასში მონაწილეობას მიიღებენ დიზაინერები საქართველოდან, უკრაინიდან, საბერძნეთიდან, ყაზახეთიდან, სერბეთიდან, მოლდოვადან, მაკედონიიდან.

საქართველოს მაღალი მოდის კვირეულის მეორე სეზონის საპატიო სტუმარია არტ დიზაინერი ფატუნა.

– წლების განმავლობაში ჯიუტად ქმნიდე მაღალ მოდას ქვეყანაში, სადაც ის არ ფასობს, არის გმირობის ტოლფასი. მიხარია, რომ ერთად ვცდილობთ ამ მიმართულების განვითარებას, ზუსტად ვიცი, ბევრ ნიჭიერ ადამიანს გაუჩნდება სტიმული და ნამდვილად ღირს ეს პროექტი ამად! წარმატებები. ჩემო ძვირფასო! მიყვარხარ. ფატუ, – ასე აფასებს კოლეგას დიზაინერი თინათინ მაღალაშვილი, რომელიც საქართველოს მაღალი მოდის კვირეულზე უახლეს კოლექციას წარადგენს.

საქართველოს მაღალი მოდის კვირეულის ფარგლებში, „შერატონ გრანდ თბილისი მეტეხი პალასის“ ფოიეში გაიმართება ქართველი დიზაინერების შოურუმი. მასში მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ მსურველს, ვინც ქმნის აქსესუარებს, ან ნებისმიერი სახის ხელნაკეთ პროდუქციას და სურს თავისი ბრენდის წარდგენა ფართო საზოგადოებისთვის. მოდის კვირეულის პოტენციური აუდიტორია მოიცავს 400-600 სტუმარს, რაც ძალიან კარგი შანსია დამწყები დიზაინერებისთვის, გააცნონ საკუთარი ნამუშევრები ფართო საზოგადოებას.

## ნინი შერმადინი ამერიკული კონკურსის რჩეულთა შორისაა



მომღერალი ნინი შერმადინი ამერიკულ კონკურსში მონაწილეობს, რომელიც ავტორ-შემსრულებელთა შორის ტარდება.

ნინიმ მოახერხა და ჯერ ტოპ 20-ში მოხვდა, შემდეგ ტოპ 15-ში, შემდეგ ტოპ 10-ში და ახლა უკვე კონკურსის მეოთხედფინალშია. ქართველმა მომღერალმა უკვე მიიღო ოფიციალური მილოცვა კონკურსის ორგანიზატორებისგან:

– ნეტა, ჭკუიდან არ შევცდე და რას დავეძებ. რით გადაგიხადოთ მადლობა, რანაირად მოვიქცე ან რა გითხრათ, არ ვიცი. მეტირება! – წერს მომღერალი.

პ.ს. კონკურსის ორგანიზატორთა გადაწყვეტილებით, დაწესებულია 4 საპრიზო ადგილი – მეოთხე, მესამე, მეორე, პირველი და გრან პრი. გრან პრის მფლობელის სიმღერები ამერიკის მასშტაბით რადიოებში დატრიალდება. გამარჯვებულები ფულად ჯილდოებს მიიღებენ და მსოფლიო ვარსკვლავებთან ერთად სცენაზე გამოსვლის საშუალება მიეცემათ.

ამერიკაში მიმდინარე ავტორ-შემსრულებელთა კონკურსის გამარჯვებული სექტემბერში დასახელდება.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ქართველ პოეტ ნიკო რაზიკაშვილის ლიტერატურული ფსევდონიმი; 2. ორსახოვანი ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 3. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური ხორვატიაში; 5. მამაკაცის სასიმღერო ხმა; 6. კუთხე საქართველოში; 8. წითელი ფერის პოპულარული იტალიური ღვინო; 11. თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 13. ფსიქიკური დაავადების უმძიმესი ფორმა, ავადმყოფი არ მოძრაობს, დუმს, არ რეაგირებს ტკივილზე; 14. მზის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 15. შექსპირის ტრაგედია; 19. უმაღლესი მემკვიდრეობითი ტიტული ბრიტანეთში.

**თარაზულად:** 1. ჩეხური ლუდი; 4. ნიკოტინის შემცველი ერთწლიანი ბალახოვანი მცენარე; 7. მუნჯი კინოს დიდი კომიკოსი; 9. ცეცხლსასროლი იარაღის ლულის ღრუს დიამეტრი; 10. ხეობა სტეფანწმინდის რაიონში; 12. მთავრობის ხელმძღვანელი გერმანიაში; 16. მცირე ამპლიტუდის რხევები; 17. საცხოვრებელი მასივი თბილისში; 18. ცნობილი დანიელი კარიკატურისტი; 20. ქიმიური ინდიკატორი; 21. ჩრდილოეთისა და ბალტიის ზღვების დამაკავშირებელი ხელოვნური არხი გერმანიაში; 22. საწყლოსნო სპორტის ერთ-ერთი სახეობა.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

